# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 21 მაისი, 2011 წელი.

№94 (6705)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# „სახალხო კრება“ საქვეყნოდ აცხადებს:

- საქართველოში 74 წინააღმდეგობის კომიტეტია შექმნილი.
- თუ ხელისუფლება ძალას გამოიყენებს, ადეკვატურად ვიმოქმედებთ.
- ხელისუფლების მხრიდან სერიოზული პროვოკაციებია მოსალოდნელი. ხელისუფლებისათვის მოულოდნელი იყო ის მუხტი, რაც მოსახლეობაშია. შეფიცულები და აქციის ორგანიზატორთა ორგანიზებულობა იქნება რეჟიმის შეცვლის გარანტი.
- „სახალხო კრების“ გამარჯვების შემდეგ დაინიშნება არჩევნები, ხალხი აირჩევს ადეკვატურ ხელისუფლებას, რომლის პრიორიტეტი განათლება იქნება.
- საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ელის ცვლილებებს. ეს აქციები სხვა აქციებისგან განსხვავებული იმითაც იქნება, რომ აქციის ორგანიზატორები არასდროს უღალატებენ საკუთარ ხალხს.
- ქვეყნის საგარეო პოლიტიკა იქნება დაბალანსებული, დაყრდნობილი დასავლურ ფასეულობებზე, ამოსავალი წერტილი იქნება პროქართულობა.
- „სახალხო კრებას“ ჰყავს ბევრი მხარდამჭერი. ფინანსურ მხარდაჭერას ახორციელებენ ბიზნესმენებიც.
- 21 მაისის აქციისთვის სანქცია არ არის საჭირო, რადგან ყველაზე დიდ სანქციას იძლევა ხალხი. ველით ათეულობით ათას ადამიანს.
- 21 მაისის შემდეგ გახდება ცნობილი, რა იგეგმება 26 მაისს.
- საქართველოში აღარასდროს იქნებიან პოლიტიკური და უკანონო პატიმრები.
- ახლა შევცვალოთ ხელისუფლება და მერე არჩევნებში ვისაც გინდათ, იმას მიეცით ხმა.




ახლა განზე დგომა, მომლოდინეობა, დუმილი ღალატია! 2

მიმართვა სრულიად საქართველოს მოსახლეობას

როგორ გგონიათ, ვინ დაგიდგებათ ადვოკატად? 4

„ქართუ ჯგუფის“ პრესსამსახური შალვა ნათელაშვილს ღია წერილით მიმართავს

იგორ გიორგაძე: ოქრუაშვილის გვარით პოლიტიკოსს არ ვიცნობ 5

ავტოკრატია რუსულ ტანკებზე უფრო საშიშია 3

ახლა უკვე ღვინოც ღალადებს! 8

ისევ საფერავზე და სხვა ავზე

№ 94. შაბათი, 21 მაისი, 2011 წელი.

მიმართვა

# ახლა განზე დგომა, მომლოდინეობა, დუმილი ღალატია!

## სრულიად საქართველოს მოსახლეობას

ქართველთა სულებში ბუზუნს იწყებს ქუთაისში აფეთქებული მემორიალის შვიდი ზარი, რამეთუ, როგორც პოეტი ბრძანებს... „იერუსალიმის გელათის ზართა, სული გაეწარდა“...

ბატონებო და ქალბატონებო, ქართველებს სიცოცხლე გაუმწარეს, სრულიად საქართველოს სული გაუწარეს, და არა მხოლოდ ქართველებს და საქართველოს;

შეიბილწა ის, რითაც ადამიანი განსხვავდება სხვა სულიერისაგან, შეიბილწა რწმენა, რწმენა ნებისმიერი აღმსარებლობის ადამიანისა, რამეთუ ააფეთქეს მამულიშვილის სახება;



შეურაცხყოფილ იქნა ის, რაც სიმბოლოა მარადიული სიცოცხლისა, უკვდავებისა. შეურაცხყოფილ იქნა დედა, რომლის მუხლებზე დაცემული, დალუპული შვილების ღვთისთვის შემავედრებელი ქანდაკი აღგავეს პირისაგან მიწისა;

იავარქმნილ იქნა ხსოვნა ბოროტებასთან მებრძოლ ათეულ მილიონობით დაღუპულისა, რომელთა ტანჯული სხეულები გარს ეკრა ყოველთა ადამიანთა დედის ფიგურას;

დანგრეულ იქნა კაცობრიობის მომავლის იმედი, რამეთუ ცეცხლოვან ხმალალმართული ჭაბუკი გახლდათ სიმბოლო ერთა თანამეგობრობის ხვალინდელი დღისა.

ეს იყო წარსულის ფასეულობების და მომავლის ღირებულებების განადგურება. ძეგლად ქცეული ქართული სული ააფეთქა ქართულმა ვანდალიზმმა. ამგვარად მხოლოდ ცხრამთავგადამოვლილნი თუ იქცევიან და ისიც ბარბაროსთა მოდგმისანი.

ეს ჩაიდინა ხელისუფლებამ, რომელსაც თავად არ აქვს წარსული და მომავალი და მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრობს.

ეს ჩაიდინა მეთავისე ხელისუფლებამ, რომელსაც ეზიზღება ყველა სხვა, ანუ, ვინც მათთან ერთად არ არის.

ეს ჩაიდინა ხელისუფლებამ, რომლის გამოისობით დღეს საქართველოში სრულიად უადგილოა კითხვა - როგორ შეიძლება? საქართველოში დღეს ყველაფერი შეიძლება!

ხელისუფლებას კი თავს იმიტომ გაუვიდა, რომ არ ჩანს მოქმედება, არ ჩანს მოქალაქეობრივი პოზიცია, არ ჩანს შეუგუებლობა. დიდი მწუხარებით და სიმწრით აღვნიშნავთ: ვერ ითბილისა დედა თბილისმა, ვერ იქუთაისა საამაყო ქუთაისმა, ვერ იგორა ჩვენმა გორმა.

ძალადობით, ქურდულად, ღამის საბურველს ამოფარებულებმა თბილისიდან გაიტანეს დიდი დავითის ქანდაკება. ბათუმში ხელყოფილ იქნა მეორე წმინდანის, ილია ჭავჭავაძის ქანდაკება. გორში ცნობილ პოსტამენტზე დგამენ სრულიად გაუგებარ, ქართული სულის შეურაცხმყოფელ გაურკვეველ ანსამბლს.

„ქართულ ბიბლიად“ და „ქართულ ფილოსოფიურ ტრაქტატად“ აღიარებული მემორიალის დანგრევა უნდა გახდეს ამ ხელისუფლების დასასრულის დასაწყისი. ამ განწყობით იყო საუბარი 2011 წლის 19 მაისს მერაბ ბერძენიშვილის „დიდების მემორიალის“ ვანდალური განადგურებისადმი მიძღვნილი წიგნის „დაუჯერებელი სინამდვილის“ წარდგენის დროს. რომლის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, მიმართონ ქართველ ერს. აღინიშნა, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა საპროტესტო მუხტის უკიდურესად გასამწვავებლად. გაუბედურებულ, შეურაცხყოფილ, შეშინებულ, დამზრალ, გალახულ ადამიანებს, რომლებსაც წაართვეს მიწა, სარჩო-საბადებელი, სამსახური, საარსებო მინიმუმი და რაც მთავარია, ღირსება, სხვა აღარა დარჩენია რა, თუ არა მშვიდობიანი მანიფესტაციებით ქუჩაში განაგრძოს ბრძოლა.

განზე დგომა, მომლოდინეობა, დუმილი ღალატია საკუთარი თავის, საკუთარი შვილების და საზოგადოდ ერის წინაშე.

მარიამ ლორთქიფანიძე, ვაჟა ლორთქიფანიძე, ოთარ ჯაფარიძე, მერაბ ჯიბლაძე, ფერდინანდ ლორთქიფანიძე, თამაზ ლორთქიფანიძე, ნიკო ლომოური, ვალერიან ასათიანი, თეიმურაზ შაშიაშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, გია ბურჯანაძე, ზურა ლომიძე, გიგა ბათიაშვილი, თემო გოცაძე, გოგი წერეთელი, ზურაბ ხასია, საურმაგ ღამბაშიძე, მურმან ჭანიშვილი, ბაია ამაშუკელი, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამარ ჩარკვიანი-გიგანი, მაკა ხატიაშვილი, მერი ხუციშვილი, ლევან კამკამიძე, გოგი ქავთარაძე, დიმა ჯაიანი, გიორგი ჟვანია, შოთა ჯიქია, ნიკოლოზ ამირეჯიბი, რევაზ შარაბიძე, ომარ ჟღენტი, ნინო ჟღენტი, გიორგი ვოლსკი, ნარგიზა ლომთაძე, ინგა კაპანაძე, სოსო რობაქიძე, ლევან ღვინჯილია, ნუგზარ დუჩიძე, სულხან ქემოკლიძე, რეზო სარალიძე, ედვარდ დავითაშვილი, გურამ ფირცხალავა, ვასილ კადანეცი, გია შენგელია, თამარ ყურაშვილი, დემურ ბაშალეიშვილი, ალიკა ლაბარტყავა, როზერტ კუდაშვილი, ქეთევან ხუციშვილი, ციური ჯალიაშვილი, ჯონდო ჯავახიშვილი, გია სიხარულიძე.

სტუმარი



## იერჟი ბუზეკი საქართველოს ყარაბაღის გაყინული კონფლიქტის გადაჭრის საქმეში ჩართვას სთავაზობს

**ევროპარლამენტის პრეზიდენტი იერჟი ბუზეკი საქართველოს ყარაბაღის გაყინული კონფლიქტის გადაჭრის საქმეში ჩართვას სთავაზობს.**

**პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე კონფლიქტებზე საუბრისას ბუზეკმა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი ახსენა და აღნიშნა, რომ „საქართველოს კარგი ურთიერთობა აქვს როგორც სომხეთთან, ისე აზერბაიჯანთან და აღნიშნული პრობლემის გადაჭრაში დახმარება შეუძლია“.**

მისივე თქმით, „ევროკავშირი გაყინულ კონფლიქტებს საშიშად აფასებს და მისთვის მათი მოწესრიგება მნიშვნელოვანია“.

ბუზეკმა საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მხარდაჭერა კიდევ ერთხელ ერთმნიშვნელოვნად გამოუცხადა და რუსეთის შეიარაღებული ძალების აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ყოფნა დაგმო.

მან ისიც აღნიშნა, რომ „ევროკავშირი სადამკვირვებლო მისიის სახით საქართველოს უსაფრთხოების მხარდაჭერას განაგრძობს და აქტიურად არის ჩართული ჟენევის მოლაპარაკებების პროცესშიც“.

„პირველი“

სისხლიანი თარიღი

# საქართველოსთვის აფხაზი მუჰაჯირების საკითხი უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ვიდრე ჩერქეზებისა

**დღეს აფხაზები და კავკასიის სხვა ხალხები მუჰაჯირობის დღეს აღნიშნავენ. ისინი მე-19 საუკუნეში რუსეთის სასტიკი იმპერიალისტური პოლიტიკის მსხვერპლნი გახდნენ. საქართველოს პარლამენტში კი რუსეთის მხრიდან ჩერქეზთა გენოციდის, მათი მასობრივი განადგურების და ისტორიული სამშობლოდან იძულებითი განდევნის შესახებ მსჯელობენ.**

საკანონმდებლო ორგანოში თითქმის ორი წელიწადი მზადდებოდა რეზოლუცია, რომელსაც დიასპორებთან ურთიერთობისა და კავკასიის საკითხებში საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ წიკლაური კურირებდა. მისი მოთხოვნით, დოკუმენტების დამტკიცება სპეციალურად დაამთხვიეს 21 მაისს, რადგან ეს თარიღი ჩერქეზთა გენოციდს უკავშირდება. როგორც დეპუტატები ირწმუნებიან, ამ საკითხზე არაერთხელ მიმართეს პარლამენტს თავად ჩერქეზებმა, რამაც კიდევ უფრო დააჩქარა ამ გადაწყვეტილების მიღება...



**ადამიანის უფლებათა ცენტრმა** კი სპეციალური განცხადება გაავრცელა და ხელისუფლებას უფრო გონივრული დოკუმენტის მიღება ურჩია: **„ჩერქეზთა გენოციდის აღიარების შესახებ პარლამენტის რეზოლუცია, რეალურად, საქართველოსა და რუსთის ხელისუფლების მოუქნელი პოლიტიკური ორთაბრძოლის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს. ხელისუფლებას კავკასიელ ხალხთა ბედი ნამდვილად რომ აღელვებდეს, თავდაპირველად საქართველოს სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე დაფიქრდებოდა და უპირველესად აფხაზი მუჰაჯირების ისტორიული ბედისწერის, თანამედროვე ყოფა-ცხოვრებისა თუ მისწრაფებების კვლევას დაუთმობდა. ლოგიკურად, დიასპორისა და კავკასიის საკითხების კომიტეტისთვის სხვადასხვა ქვეყანაში გაბნეული აფხაზი მუჰაჯირების მრავალათასიანი დიასპორის პრობლემები უფრო აქტუალური უნდა იყოს. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ოცწლიანი ისტორიის მანძილზე არც ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა“,** — ნათქვამია განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ცენტრი უკვე მეოთხე წელიწადია აწარმოებს კამპანიას „ბოდიში“. ის აერთიანებს ადამიანებს, რომლებიც აფხაზ ხალხს ბოდიშს უხდიან იმის გამო, რომ ვერ შეძლეს ძალადობასთან დაპირისპირება, ვერ მოახერხეს შეეჩერებინათ ძმათამკვლელი ომი. ადამიანები ბოდიშს იხდიან იმის მიუხედავად, ისინი პირადად მონაწილეობდნენ თუ არა შეიარაღებულ კონფლიქტში.

აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა დამცველებს მიაჩნიათ, რომ უკვე დროა, საქართველოს სახელმწიფომაც გაიზიაროს კუთვნილი პასუხისმგებლობა როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე რეალიებიდან გამომდინარე: **„გადადგას არა პოლიტიკურად ანგაჟირებული და ბუტაფორიული ნაბიჯები არსაით, არამედ აწარმოოს გააზრებული, მშვიდობიანი პოლიტიკა, რომელიც ქართველ, აფხაზ და ოს ხალხებს შერიგებამდე მიიყვანს, კვლავ დააახლოვებს ერთმანეთთან, როგორც ეს იყო წარსულში, ეთნოკონფლიქტებამდე“.**

ნია ფიფია

ვითარება

## მიხეილ სააკაშვილი: რუსეთთან დიალოგისთვის მზად ვართ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საუბარს დემოკრატიულად არჩეულ მთავრობასთან მოინდომებს

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუსეთთან დიალოგისთვის მზაობა კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუმცა აქვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ რუსეთი საუბარს ქვეყნის დემოკრატიულად არჩეულ მთავრობასთან მოინდომებს“.**

ეს განცხადება სააკაშვილმა საპრეზიდენტო რეზიდენციაში რუსეთის მმართველის დიმიტრი მედვედევის მიერ აგვისტოს ომთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრების კომენტირებისას გააკეთა.

„2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომი სამი წელიწადი მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ინტერვენციით არა სიძლიერის, არამედ სისუსტის დემონსტრირება მოახდინა. ბოლო სამი წელია, რუსეთის მმართველისთვის „პოლიტიკური ცხედარი“ ვარ, თუმცა არც ერთი ნიშნით ამ ეპითეტს არ შევეფერები. აქვე შეგვიძლია, საქართველოს პრეზიდენტის გარკვეული ორგანოებით დაკიდების, საქართველოს ჩამოშლის და სხვა საკითხების შესახებ კრემლში გაკეთებული განცხადებებიც გავიხსენოთ, თუმცა მთელი მსოფლიო დღეს ამის ნაცვლად იმას ხედავს, რომ რეფორმების სასწავლებლად საქართველოში რუსეთიდანაც კი დადიან. ასე რომ, დიმიტრი მედვედევმა საკუთარი განცხადებით მხოლოდ დაადასტურა, რომ საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყებისას არა აფხაზი და ოსი ხალხის ბედი, არამედ სულ სხვა მიზნები ამოძრავებდა. ნუთუ არ იყო მათთვის მნიშვნელოვანი, მოკავშირედ ჰყოლოდათ ისეთი ქვეყანა, როგორიც დღეს საქართველოა?! ვინ აირჩიეს მათ მოკავშირედ, გადაგვარებული სეპარატისტები, „კოჭოია“ გალიდან და ქუჩაში მორბენალი პოლიტიკოსები, რომლებმაც გამოკითხვების თანახმად, საკუთარი არაპოპულარობით მსოფლიოს რეკორდები მოხსნეს და ფაქტობრივად, ხალხის ზიზღში გადაიზარდნენ?!“ , — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ამავე კონტექსტში იგი საჩხერის რაიონში, სასაზღვრო ზოლზე მომხდარ ინციდენტსაც გამოეხმაურა.

**„ნუთუ ამხელა სახელმწიფოს სიძლიერე იმაში გამოიხატება, რომ ტყეში ჯონჯოლის საკრეფად წასულ ახალგაზრდებზე ნადირობა აქვს გამოცხადებული, ამ სიტყვის ბუკვალური გაგებით?!“ — აღნიშნა სააკაშვილმა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველო – ევროპის თვალში

**მიმდინარე კვირა მაღალი დონის შეხვედრებით განსაკუთრებით გამოირჩევა. ევროპელი და ამერიკელი სტუმრები მრავლად არიან ჩვენს დედაქალაქში. თითქმის ყველა ვიზიტი საქართველოში დემოკრატიული პროცესების შესახებ ინფორმაციის გაცნობას უკავშირდება, თუმცა დასავლელი მეგობრების უმეტესობისთვის აქ შექმნილი ვითარების შესახებ მეტნაკლებად მაინც ცნობილია.**

# ავტოკრატია რუსულ ტანკებზე უფრო საშიშია

## რეალურად დემოკრატიული თანამეგობრობა თუ უბრალოდ „თაიგული“?!



ერთ-ერთი მაღალი რანგის ფორუმი გუშინ დაიხურა, სადაც დემოკრატიათა თანამეგობრობის საპარლამენტო ფორუმის წევრები მონაწილეობდნენ. თემა გახლდათ „დემოკრატიზაცია ევროპასა და ევროპის სამეზობლოში“.

სტუმართა დიდმა ნაწილმა საქართველოში მიმდინარე რეფორმებს დემოკრატიული უწოდა. მაინცდამაინც დიდი კრიტიკით თავი არავის გამოუჩენია. ხოლო ქართველი კოლეგები აქტიურად ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ ევროპელებისთვის, რომ დემოკარტიის თვალსაზრისით საქართველო ამიერკავკასიის რეგიონში ლიდერია. ამ მხრივ გამორჩეული იყო ეკონომიკის სფეროს რეფორმატორის **კახა ბენდუქიძის** გამოსვლა: „საქართველოს აქვს სურვილები და მიზნები, რომლებიც ორგანიზებას მოითხოვს. კიდევ გვჭირდება რეფორმები, ოღონდ უფრო საფუძვლიანი. ჩვენ იმ ეკონომიკურ თამაშებში ჩავებით, რაც დასავლეთში დაინერგა და სამი ძირითადი კუთხით განვახორციელეთ რეგულაცია: ეკონომიკის ლიაობა, ანუ თავისუფალი ბაზარი, საბაჟო ტარიფების შემცირება და ლიცენზიებისა და ნებართვების ალების გამარტივება, რაც ასევე დაგვეხმარა კორუფციასთან ბრძოლაში.

ამ ყველაფერთან ერთად არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქვეყანას ჰყავს ოკუპანტი, მტერი, რომელმაც ჩვენი ტერიტორიები მიიტაცა, ემბარგო დაგვიწესა, ფრენები აკრძალა. ეს ჩვენ უდიდეს ფინანსურ პრობლემებს გვიქმნის და ამ ფონზე კიდევ კარგი შედეგი გვაქვს“.

ქრისტიან-დემოკრატების ლიდერი **გიორგი თარგამაძე** ერთადერთი გამომსვლელი იყო ოპოზიციიდან, ამიტომ სტუმრები მის მოხსენებას განსაკუთრებული ინტერესით უსმენდნენ. მან კი ხაზგასმით და გადაჭრით არაერთხელ აღნიშნა, რომ საქართველო დაიღალა რევოლუციებით, ეს ერა დამთავრდა, არადა 21 მაისს შესაძლოა ოპოზიციის აქცია კონტროლიდან გამოვიდეს და სერიოზულ კონფლიქტამდე მივიდეთ. „ჩვენ უნდა ავირიდოთ რევოლუცია და შევცვალოთ ევოლუციით, – განაცხადა მან, – 30 მაისს ოპოზიციური „რვიანის“ ხელისუფლებისთვის მიცემული ვადა იწურება, ამიტომ ისინი აუცილებლად უნდა დათანხმდნენ ჩვენს შეთავაზებულ პირობებს და შექმნან ობიექტური და სამართლიანი გარემო საარჩევნოდ“. თარგამაძემ ისაუბრა სასამართლოს დამოუკიდებლობის აუცილებლობაზე, თავისუფალ მედიაზე, სისხლის სამართლის კოდექსის ლიბერალიზაციაზე, ანტიმონოპოლიური კანონის მიღების მნიშვნელობაზე. „სააკაშვილმა და მისმა გუნდმა რაც შექმნა, ეს არის ძლიერი პოლიცია, მაგრამ ჩვენს კანონებში არავითარი ნიშანი სამართლიანობისა არ არის, მათ შექმნეს სახელმწიფო ინსტიტუციები, თუმცა აქაც დიდი დისბალანსია. ასე კი დემოკრატიის მიღწევა რთულია. მართალია, რუსული ტანკები, რომლებიც თბილისიდან 30 კილომეტრში დგანან, საფრთხეს უქმნიან ჩვენი ქვეყნის სტაბილურობას, მაგრამ პოლიტიკური სისტემისთვის არანაკლებ საშიშია ავტოკრატია, რომელიც ამჟერად გვაქვს“, – დასძინა მან.

ძალიან საგულისხმო იყო საქართველოს უსაფრთხოების ანალიტიკური ცენტრის დირექტორის, ელჩის, **დევით სმიტის** გამოსვლა. ის უკვე ათი წელიწადია საქართველოში ცხოვრობს და გაცილებით კარგად იცნობს აქ მიმდინარე პროცესებს: „დემოკრატიის ფსონი“ ეს არის ტერმინი, რომელიც გულისხმობს ყველაფერს, ანუ ყველაფერი დევს დემოკრატიისთვის ბრძოლაში. როცა საქართველოზე ვაკეთებთ აქცენტებს, არ უნდა დაგვიწყდეს, რომ რუსეთი აქ 1801 წლიდან დომინირებდა, ამას მოჰყვა კომუნიზმის 70-წლიანი ეპოქა. მას შემდეგ იყო კონფლიქტები, ომები, მაგრამ ის, რაც ქვეყანაში იყო 7 წლის წინათ და რაც ახლა არის, ერთმანეთისგან დღე და ღამესავით განსხვავდება. არ შეიძლება იმ წარმატების დაუნახაობა, რასაც ამ მოკლე დროში მიაღწია.

რუსეთი არ არის დემოკრატიული სახელმწიფო, იქ კრიმინალების სინდიკატია. მას არ მიუწვდება ხელი ბალტიისპირეთზე, გასასვლელი არა აქვს დასავლეთზე. ამიტომ საქართველო დერეფნად სჭირდება. რუსეთის რეჟიმის ხედვა იმპერიალისტურია და მისგან საფრთხე არ გამქრალა. ჩვენ გვაქვს ძალიან მყიფე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება, ისიც ქაღალდზე. ამიტომ საქართველოს, როგორც დემოკრატიული ქვეყნის განვითარება მნიშვნელოვანია. თუ საქართველოში დემოკრატია გაქრება, ეს ძალიან ცუდად დამთავრდება ევროპისთვის. ამიტომ ახლა ყველაფერი ფსონზეა დადებული. ჩვენ უნდა ვიყოთ რეალური თანამეგობრობა და არა უბრალოდ თაიგული“.

„საქართველო ევროპული ქვეყანაა, ამიტომ აქ შექმნილი საფრთხეებით შეშფოთებულები ვართ, – აღნიშნა ევროკავშირის ელჩმა საქართველოში **ფილიპ დიმიტროვმა,** – აქ შესანიშნავი რეფორმები განხორციელდა, ის უმკლავდება გამოწვევებს და რაც მთავარია, მან მოახერხა მორგებოდა ევროკავშირის სტანდარტებს. არც ერთ ნატოს წევრ ქვეყანას ასე მოკლე დროში ასეთი წარმატებისთვის არ მიუღწევია...

მაგრამ ევროპელები ძალიან მკაცრები ვართ, როცა საქმე ადამიანის უფლებების დარღვევას ეხება. ეს არის ევროპისთვის წმიდათაწმინდა საკითხი, რისთვისაც ასწლეულები იბრძოდა.

შეიძლება ვიდავოთ იმაზე, არის თუ არა ნულოვანი ტოლერანტობა, ან გადატვირთული საპატიმროები და ა. შ. რომელსაც გადავჭრით, მაგრამ თუკი 100 საქმიდან 99 განაჩენში მოსამართლე პროკურორის არგუმენტებს გაამართლებს, ეს ძალიან ცუდი შედეგია. ეს დემოკრატიის პროცესს ამუხრუჭებს და თუკი ასე გაგრძელდა, პროგრესის მიღწევა გაძნელდება“.

დიმიტროვმა თავისუფალი არჩევნების მნიშვნელობაზეც ისაუბრა. „არჩევნები მაშინ მიიჩნევა ობიექტურად, თუკი მოსახლეობა საბოლოოდ კმაყოფილი დარჩება. ამისთვის კი სამართლებრივი ბაზა უნდა არსებობდეს და ამ მხრივ ძალიან ბევრი სამუშაო გაქვთ“, – დასძინა მან.

**ქებასაც და შენიშვნებსაც რამდენიმე ქართველი დეპუტატი ისმენდა. თუმცა საბოლოოდ პოზიცია მაინც ისეთი აქვთ, რომ ევროპელები უკეთ აფასებენ ხელისუფლების ძალისხმევასა და მიღწევებს, ვიდრე ადგილობრივები. რახან ჩვენით დასავლეთი კმაყოფილია და მხარდაჭერას აგრძელებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი რიგზეა...**

**საინტერესოა, რა პოზიცია ექნება ევროპას, 21 მაისის შემდეგ?**

თეა მოსია

შეშფოთება

# არსებული მდგომარეობით სახტად ვარ დარჩენილი

## წერილი საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ბატონო პრეზიდენტო!

დამეთანხმებით, რომ ელენე ახვლედიანი საყოველთაოდ აღიარებული ქართველი მხატვარია.

მისი გარდაცვალების შემდეგ აღსრულდა მხატვრის სურვილი – მისი ოჯახის წევრებმა ელენე ახვლედიანის მთელი მემკვიდრეობა გადასცეს სახელმწიფოს ხალხის კეთილმსახურებისთვის.

სამწუხაროდ, წლების მანძილზე ჩამოყალიბდა მხატვრის სახლ-მუზეუმის დირექციის მხრიდან ელენე ახვლედიანის ოჯახის წევრების სრული იგნორირების არასწორი ტენდენცია – არავითარი კონტაქტი და სრული იზოლაცია მუზეუმის საქმიანობისგან.

ამის შედეგია ელენეს სულისთვის შეუსაბამო ნაცრისფერი ატმოსფერო, მდარე ხარისხის საღამოები და პროფანული საერთო სიტუაცია. მაშინ, როცა წლების წინათ პირადად ჩემი მცდელობით ელენეს სახელოსნოში ჩატარებულია ლა-სკალას, მეტროპოლიტენ-ოპერის, დიდი თეატრის სოლისტების გამოსვლები, როსტროპოვიჩის, ნეიჰაუზის, რიხტერის კონცერტები და ვინ მოთვლის, რამდენი უმაღლესი დონის შეხვედრა, დიდ მეცნიერთა სტუმრობები ლანდაუს ჯგუფის ფიზიკოსებიდან ცნობილ ჰუმანიტარებამდე.

ელენეს ძალიან უყვარდა თავისი ოჯახი და მიმაჩნია, რომ მისი ახლო ნათესავების დისკრედიტაცია მკრეხელობად უნდა ჩაითვალოს – ჩემზე მეტი, მერწმუნეთ, მის შესახებ არავინ იცის.

ქველმოქმედებისთვის ადამიანებს მადლობას უხდიან. ამ შემთხვევაში კი მორალური კოდექსი არ მუშაობს, ეს ხომ ნონსენსია!

კარგი იქნებოდა, მუზეუმების გაერთიანების დღევანდელ ხელმძღვანელობას ელ. ახვლედიანის სახლ-მუზეუმის ეთიკამოკლებულ, ფლეგმატურ თანამშრომელთაგან ერთი მაინც ჩაენაცვლებინა ჯანსაღი აზროვნების ეთიკური ადამიანით, რომელიც ანგარიშს გაგვიწევდა და კონტაქტს დაამყარებდა ჩვენთან.

ამით აღდგებოდა ელენეს ხატი, მისი დიდი ადამიანური ფენომენი, რომელიც დღეს ჩაკარგულია ბანალურ გარემოში. საქართველოს კი დღეს ძალიან სჭირდება ელენეს პიროვნული ფენომენი.

სახტად ვარ დარჩენილი არსებული მდგომარეობით!

**ირინე კალანდაძე,**

ელენე ახვლედიანის დისწული, საქართველოში ნოოსფეროს დამფუძნებელი, ნოოსფერული აკადემიის პრეზიდენტი

რეპლიკა

# რობიკო სტურუა ქსენოფობი კი არა, ნაცების ყელში გაჩხერილი ძვალია!

**ანუ, კაცი, რომელსაც დიდი ხანია სიამოვნებით ჩაწიხლავდნენ, ჩარეცხავდნენ, როგორც არა ერთი და ორი გაუნადგურებიათ სხვადასხვა მეთოდით. მაგრამ იგი არც ვინმე პოლიტიკოსია, რომ პრეზიდენტობის სურვილი დასწამო, არც ზურაბ ნოღაიდელია, რომ რუსეთის აგენტობა დააბრალო და არც ვინმე ნარკომანია, რომ ხელისუფლების მიმართ არალოიალობის გამო, „წამალი ჩაუდო“ და ასე მოიშორო თავიდან.**

იგი ყველა ქართველისთვის საყვარელი და საამაყო რობიკო სტურუაა, ხოლო დანარჩენი მსოფლიოსათვის – თანამედროვეობის (და ალბათ, არა მხოლოდ თანამედროვეობისძ ერთ-ერთი დიდი ხელოვანი, მსოფლიოში სახელმოხვეჭილი უდიდესი რეჟისორი, მისტერ რობერტ სტურუაა!

ხელოვანი, რომელიც, მავანთაგან განსხვავებით, ვერაფრით მოთაფლეს ნაცებმა და არა თუ დითირამბების მღერა დააწყებინეს, მისგან ლოიალურ დუმილსაც ვერ მიაღწიეს – მთელი თავისი შემოქმედებით (ძველითაც და ახლითაცძ, ყოველდღიური ცხოვრებითაც, არსებულ რეჟიმთან შეურიგებლობის მაგალითია ეს დიდი ხელოვანი და არანაკლებ დიდი პიროვნება, კაცი!

იმასაც რომ ვერ ეღირსნენ, სადმე უცხოეთში რომ წასულიყო? მიუხედავად მრავალი ფინანსურად ზღაპრული შეთავაზებებისა მსოფლიოს წამყვანი თეატრებიდან, არსად არ მიდის (თუ მიდის, მხოლოდ მცირე ხნითძ, მწვანე ბანკნოტებს არ ხარბდება და „ჯიუტად ზის“ საქართველოს უპირველეს, რუსთაველის თეატრში. სხვათა შორის ეს მაშინ, როდესაც სხვა, უკლებლივ ყველა, მეტნაკლებად მნიშვნელოვან თეატრებში თუ კულტურულ დაწესებულებებში, „თავისი ხალხის“ დასმა მოახერხეს ხელმძღვანელ თანამდებობებზე ნაცებმა!

რობიკო სტურუას ხელის ხლებას ვერ ბედავდნენ იმიტომ, რომ ნაცების პროპაგანდისტულ მანქანასაც კი არ ძალუძს მსოფლიოსთვის მეტნაკლები დამაჯერებლობით იმის ახსნა, თუ რატომ აღარ იქნებოდა რობერტ სტურუა რაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი!

და აჰა, როგორც იტყვიან, მიზეზი იპოვნეს და დიდი ხელოვანი ქსენოფობიაში დაადანაშაულეს!

ქსენოფობია ბერძნული სიტყვაა და უცხოელებისა და ყოველივე უცხოურის სიძულვილს ნიშნავს. ასე განმარტავს ამ სიტყვას უცხო სიტყვათა ლექსიკონი. რაც იმათ გასაგონად მოვიყვანე, რომლებმაც 19 მაისს, დაუფარავი იერიში მიიტანეს რობიკო სტურუაზე იმის გამო, რომ საქინფორმისთვის მიცემულ ინტერვიუში ხმამაღლა თქვა ის, რაზედაც ჩუმჩუმად და ხმადაბლა ბევრი ლაპარაკობს და მსჯელობს საქართველოში.

იხ. 4 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!





# როგორ გგონიათ, ვინ დაგიდგებათ ადვოკატად?

## „ქართუ ჯგუფის“ პრესსამსახური შალვა ნათელაშვილს ღია წერილით მიმართავს

**„ბატონო შალვა, ამ ათიოდე დღის წინათ მთაწმინდაზე, ბიძინა ივანიშვილის სახლის სიახლოვეს გამართულ აქციაზე, ბატონი ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილის მთავარ დამფინანსებლად მოიხსენიეთ და მომავალში ამის გამო პასუხისმგებლობითა და ქართველი ხალხის სამსჯავროთი დაემუქრეთ.**

**ამის შემდეგ გაზეთ „კვირის ქრონიკაში“ დაბეჭდილ ინტერვიუში კვლავ ბრალი დასდეთ ივანიშვილს სააკაშვილის ხელისუფლების დაფინანსებაში და გაიმეორეთ ბრალდებები, რომლებზეც უკვე სამ წელზე მეტია გამუდმებით ლაპარაკობთ.**

**ამ ინტერვიუს შემდეგ ჩვენ გამოვაქვეყნეთ „ქართუ ჯგუფის“ პრესსამსახურის განცხადება, რომლითაც მკითხველს ავუხსენით და განვუმარტეთ თქვენ მიერ დადგმული სპექტაკლის რეალური მიზეზები და თქვენ სააკაშვილის ხელისუფლების დაკვეთების შესრულებაში გამხილეთ.**

**თქვენ და თქვენი მეგობარი ჟურნალისტი დიტო ჩუბინიძე „ალია-ჰოლდინგიდან“ საოცარი ოპერატიულობით გამოეხმაურეთ ჩვენს განცხადებას და ვრცელი ინტერვიუ მიუძღვენით მას. სწორედ ამ ინტერვიუმ გამოიწვია ჩვენი შეკითხვა და თქვენს მეგობარ ჟურნალისტს ვთხოვეთ, დაეზუსტებინა პირადად თქვენთან, გაქვთ თუ არა რაიმე დოკუმენტი იმის დასტურად, რომ ივანიშვილი სააკაშვილის ხელისუფლებას ყოველწლიურად 150 მილიონით აფინანსებს. ჩვენს თხოვნას ასევე ოპერატიულად მოჰყვა თქვენი პასუხი, რომელშიც გამოთქმული „ბრალდებები“ პირობითად შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ.**

**პირველ ნაწილში** თქვენ აცხადებთ: **„150 მილიონი დოლარი არის მხოლოდ უძრავი ქონების წილი, ანუ ე.წ. „სტავკა, რომელიც მიდის უშუალოდ სააკაშვილის გამგებლობის ქვეშ“.**

თქვენი ეს პასუხი საკმაოდ ბუნდოვანი აღმოჩნდა ჩვენთვის და ალბათ მკითხველისთვისაც და დიტო ჩუბინიძეს ღია წერილით კიდევ ერთხელ ვთხოვეთ დაეზუსტებინა — **„ხომ არ გულისხმობდით ამ უძრავ ქონებაში ბათუმის დელფინარიუმს, „სუფსის კარუსელებს“, რომელიც ურეკის გასართობი ცენტრია, სამების ეკლესიას... მსგავსი ტიპის სხვა ობიექტებს, ყველაფერს, რაც აშენდა და შეკეთდა?**

სამწუხაროდ, პასუხი ვერ მივიღეთ და ამიტომაც ჩავთვალეთ, რომ ჩვენი ეს მოსაზრება სიმართლეს შეესაბამება.

განვიმარტავთ, რომ ყველა ჩამოთვლილ ობიექტს საქველმოქმედო ფონდი აფინანსებს. ჩვენ არაფერი გვაქვს დასამალი და არც ვმალავთ. თქვენს ინტერვიუში კი ბრძანებთ, რომ ვასაიდუმლოებთ ფონდის საქმიანობას.

არა, ბატონო შალვა, არათუ ვასაიდუმლოებთ, საქველმოქმედო ფონდის „კრიმინალური“ საქმიანობა იმდენად გამჭვირვალეა, რომ მისი მუშაობის ყოველწლიურ აუდირებას საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების დიდი ოთხეულის წევრიდან ერთ-ერთი, აუდიტორული ორგანიზაცია „დელოიტ ენდ ტუში“ ეწევა.

**თქვენი პასუხის მეორე ნაწილში აცხადებთ, რომ ივანიშვილის მხრიდან სააკაშვილისთვის გაწეული დახმარება არის: „პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი, ქეში, ნაღდი ფული, პრეზიდენტის მშობლებთან გასაგზავნი ფული, პრეზიდენტის გარემოცვასთან გასაგზავნი ფული, ალასანიებთან გასაგზავნი ფული, პრეზიდენტის ინტერესჯგუფებისთვის ბიზნესში დახმარება...“**

**ასევე აცხადებთ: „სოროსმა რომ დაუნიშნა პრეზიდენტსა და მინისტრებს ხელფასები... სოროსს იმ ფონდში მხოლოდ 10 პროცენტი შეჰქონდა... დანარჩენი არ გაინტერესებთ ვის შეჰქონდა? ბიძინა ივანიშვილს!“** და ისიც აღნიშნეთ, ესენი (ანუ ჩვენ, „ქართუ ჯგუფი“ და მისი პრესსამსახური) **იმდენს იზამენ, ყველაფერს მათქმევინებენო.**

სწორედ თქვენმა მუქარამ გაგვიჩინა ეჭვი იმისა, რომ თქვენ კიდევ დაგრჩათ რაღაც უთქმელი და ამიტომაც მოგმართეთ დიტო ჩუბინიძის მეშვეობით, რომ ბოლომდე გეთქვათ სათქმელი, დაგეზუსტებინათ და დაგესრულებინათ ჩამონათვალი... მაგრამ რადგან ამ შემთხვევაშიც **ვერ მივიღეთ თქვენგან პასუხი, არ გვინდა, მკითხველს შეექმნას შთაბეჭდილება, თითქოს ეს მინიშნება უპასუხოდ დავტოვეთ.**

ჩვენ ვერ უარვყოფთ და დასაშვებადაც კი მივიჩნევთ (რაც თქვენ ჩამოთვალეთ და რაც მინიშნებაში იგულისხმეთ და არ დაასრულეთ), ივანიშვილს საქველმოქმედო ფონდის გვერდის ავლით დაეფინანსებინა სხვადასხვა პროექტი, რომლებიც არ მოხვდა ფონდის აუდირებულ ანგარიშში. თუმცა ამის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო ის დროისთვის არსებული სიტუაცია ან ის ფაქტორი, რომ გარკვეული საქმიანობა არ შეესაბამებოდა ფონდის წესდებას.

ერთი რამ ნათელია: ბიძინა ივანიშვილის საქმიანობის ხელწერა ყოველთვის ერთი და იგივეა. თუ მომავალში მისი საქმიანობის დღემდე უცნობი დეტალები გახდება ცნობილი, ან თქვენი ინიციატივით, ან შესაძლებელია თვითონ ბატონმა ბიძინამ გაახმოვანოს რაიმე კონფიდენციალური ინფორმაცია, გარწმუნებთ, რომ მოგვიანებით გამომჟღავნებული ფაქტები ისეთივე „კრიმინალური“ იქნება, როგორიც თქვენი ბრალდებების პირველი ნაწილი 150 მილიონი დოლარის „სტავკის“ შესახებ.

**ასევე შეგვიძლია დაბეჯითებით განვაცხადოთ — როგორც პირველ ნაწილთან, ასევე თუ რაიმე ახალი ფაქტები გამომჟღავნდება მეორე ნაწილთან დაკავშირებითაც, ბიძინა ივანიშვილი მზად იქნება, პასუხი აგოს ქართველი ხალხის წინაშე. გარწმუნებთ, რომ მის ადვოკატობაზე არც ერთი ქართველი არ იტყვის უარს.**

ბატონო შალვა, როგორც თქვენ ითხოვთ ივანიშვილისგან პასუხისგებას, ასევე ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ნებისმიერ ადამიანს მოუწევს პასუხი აგოს თავის საქციელზე, ისევე როგორც — სააკაშვილს, მერაბიშვილს, და მათ შორის, თქვენც ოდესმე მოგიწევთ პასუხი აგოთ ხალხის წინაშე. ოდესმე გიფიქრიათ — **თუ თქვენ შესახებ არსებული ჭორებიდან რომელიმე დადასტურდება, რა მძიმე ხვედრი გელით?!.**

2007 წლის ნოემბრის მოვლენების დროს გამოქვეყნდა ჩანაწერები, რომლებითაც თქვენ მხილებული იყავით რუსეთის სპეცსამსახურებთან ურთიერთობაში. მაშინ თქვენ აღნიშნეთ, რომ დაპატიმრების შიშის გამო იძულებული გახდით, თავი სარდაფებისთვის შეგეფარებინათ. როგორც ჭორის დონეზე ამბობენ, გისოსებს მიღმა იმიტომ არ აღმოჩნდით, რომ, თქვენზე არსებული კომპრომატებიდან გამომდინარე, სააკაშვილის ხელისუფლებასთან თანამშრომლობას დათანხმდით, სწორედ მაშინ მიეყიდეთ მას და დღემდე მისი ხელმძღვანელობით მოქმედებთ.

გარკვეული ხნის შემდეგ, თუ ეს ჭორები იმ ფაქტებთან ერთად დადასტურდება, რაც თქვენს ცხოვრებაში ყოფილა, აღარც საქართველოში დაგედგომებათ და, ვფიქრობთ, არც საზღვარგარეთ მოგეცემათ მშვიდი ცხოვრების საშუალება — ახლანდელი რეჟიმისგან გაქცეული უამრავი ქართველი, რომლებმაც იძულებით უცხოეთს შეაფარეს თავი, ქართველი ხალხისა და ქვეყნის ღალატს ნამდვილად არ გაპატიებენ და თუ ეს ასე მოხდება, როგორ გგონიათ, ვინ დაგიდგებათ ადვოკატად?!.

ეგება ფიქრობთ, რომ ქართველი ხალხი დამსახურებად იმას ჩაგითვლით, რამდენჯერმე რომ ახარეთ მას — **„სააკაშვილს ევროსასამართლოში ვუჩივლე და მალე დააპატიმრებენო“?** სავარაუდოდ, ეს სარჩელი არც დაგიწერიათ და მას მზის სინათლე არც არასოდეს უნახავს, ან კიდევ იმდენად სუსტი იყო, რომ ევროსასამართლოს არქივში მოთავსების ღირსადაც კი არ მიიჩნიეს. ოპოზიციურად განწყობილი ზოგიერთი ქართველი კი, რომლებსაც თქვენი ჯერ კიდევ რატომღაც სჯერათ (სამწუხაროდ, ასეთები კიდევ არიან, ერთეულებიძ, თქვენს „საგმირო“ საქმეებს ელოდება. თუმცა თქვენი რა მიდის? ელოდონ!

ხანდახან ისევ ხელისუფლება გეხმარებათ და, დროდადრო, სასამართლოს ავლებს (ოღონდ აპური სასამართლო დამოუკიდებლობის ილუზია ჩვენს უცხოელ მეგობრებსაც აღარ შეუქმნათ), დააკავოტილოს თქვენი პარტიის სარეძლი იმ საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად, რომლებსაც თვითონ ხელისუფლება ქმნის. რომ არა ეს დახმარება და თქვენი „გამარჯვებები“ „გაიარება მთავრობასთან ერთად დადგმულ სპექტაკლებში“, თქვენი რეიტინგი დიდი ხნის წინ აბსოლუტურ ნულზე გაიყინებოდა და კარგად იცით — ნათელაშვილი-წული არც ხელისუფლებას გამოადგება და ყოველი არჩევნების წინ თქვენც არავინ გადაგიხდით ფულს თქვენივე პარტიის სარჩენად სიის გასაყიდად გამზადებულ ადგილებში. მსგავსი ფაქტები [illegible] გვერჯერ დაგიხასიათ და თქვენზე უკეთესად კი ვინ იცის ეს ამბავი?!

**არ შეგვიძლია, გვერდი ავუაროთ კიდევ ორ თემას:**

1. თქვენს ბოლო ინტერვიუში მიგვითითებთ, „ამოქექონ იმ „ქართუ ბანკის“ დოკუმენტაცია, სადაც ღარიბოვი და ვიღაც ჰყავთ წევრებად, ამ დოკუმენტაციაში ჩანს ყველანაირი გადარიცხვა“. ამით თქვენ აშკარა მინიშნებას აკეთებთ, რომ გყავთ თქვენი აგენტური ქსელი და ფლობთ კონფიდენციალურ ინფორმაციას.

თუმცა, მეორე მხრივ, რამდენადაც სააკაშვილი და მერაბიშვილი მთლიანად აკონტროლებენ ქართულ ბიზნესს და ამის შესახებ არაერთი განცხადება გაკეთებულა, ვინ დაგიჯერებთ, რომ მერაბიშვილმა დაგიტოვათ კონტროლი აგენტურულ ქსელზე და შეელია მონოპოლიას ამ საკითხში?! ეს კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ თქვენ თქვენი აგენტები კი არა გყავთ, არამედ ამ ინფორმაციას სწორედ მერაბიშვილისა და მისი აგენტებისგან იღებთ. ალბათ სწორედ მერაბიშვილისგან ინფორმაციის მიღების იმედით გვემუქრებით, რომ კიდევ ბევრი რამის თქმა შეგიძლიათ.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რაც ჩვენ პირველ წერილში გამოვთქვით — თქვენ კონკრეტულად სააკაშვილისა და მერაბიშვილის დაკვეთებს ასრულებთ.

**2.** საოცრად ემთხვევა ორი ფაქტი ერთმანეთს: 2008 წელს, სააკაშვილის ინაუგურაციის წინა დღეს, ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის შედგა ბოლო საუბარი, რის შემდეგაც მათ შორის ყველანაირი ურთიერთობა გაწყდა. **ეს მოხდა ივანიშვილის ინიციატივით მას შემდეგ, რაც ბატონ ბიძინას გაუჩნდა ეჭვი, რომ სააკაშვილმა მეორედ გაპრეზიდენტება გაყალბებული არჩევნებით მოახერხა.** თუმცა ამის შემდეგ სააკაშვილის მხრიდან იყო ივანიშვილთან სატელეფონო საუბრისა და შეხვედრის რამდენიმე მცდელობა, მაგრამ ბატონი ბიძინასგან მკაცრი უარი მიიღო.

ამის შემდგომ, სულ რაღაც 2-3 თვეში, დაიწყო პირველი კამპანია ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ, რომლის ინიციატორი თქვენი მეგობარი ჟურნალისტი დიტო ჩუბინიძე იყო, ხოლო ერთ-ერთი მთავარი მოქმედი „გმირი“ თქვენ ბრძანდებოდით. სწორედ დიტო ჩუბინიძემ და თქვენმა მეგობარმა ჟურნალისტებმა გაავრცელეს პირველად ის აბსურდი, თითქოს ივანიშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუძინა მანქანები, 7 ნოემბრის მიტინგის დასარბევად უყიდა ელექტრო და შოკური იარაღი და მანვე დააფინანსა მიტინგის დამრბევ სპეცრაზმელთა პრემიებიც.

ამჯერად თქვენ გაახმოვანეთ ეს აბსურდული ჭორი. ეს კიდევ ერთი დასაბუთებაა იმისა, რომ თქვენც და მათაც ერთი და იგივე იდეოლოგიური ხელმძღვანელი გყავთ ვანო მერაბიშვილის სახით. ალბათ საფუძველმოკლებული არ არის ის მოსაზრება, რომელიც არაერთხელ თქმულა და მათ შორის სულ ცოტა ხნის წინ გახმოვანდა ვანო მერაბიშვილს, „ალია-ჰოლდინგსა“ და მის ჟურნალისტებს შორის ახლო კავშირების შესახებ. სწორედ ამიტომ თქვენ და დიტო ჩუბინიძეს არა მარტო მეგობრები, არამედ კოლეგებიც შეიძლება გიწოდოთ, რადგან ერთი პატრონის მსახურები ხართ, სააკაშვილისა და მერაბიშვილის საკუთრებად მოიაზრებით. ასევე როგორც თქვენ ხართ ფსევდოოპოზიციონერი, ისეთივე ფსევდოოპოზიციურია „ალია-ჰოლდინგის“ გამოცემები.

ბატონო შალვა, დილით რომ იღვიძებთ, ალბათ, ფიქრობთ, რატომ ვპასუხობთ თქვენს აბსურდულ განცხადებებსა თუ მოსაზრებებს... რატომ არ განებებთ თავს... ალბათ, თვითონვე გიკვირთ, დღესდღეობით სერიოზულად კიდევ რომ აღგიქვამთ ვინმე. ამაზე მგონი უკვე გიპასუხეთ — ნამდვილად გაგვიჭირდებოდა თქვენი, როგორც პოლიტიკოსის სერიოზულად მიღება, რომ არა ის გარემოება, რომ თქვენთვის ჩვენი ნებისმიერი პასუხი თუ განმარტება თქვენივე პატრონების — სააკაშვილისა და მერაბიშვილის გასაგონად არის, სწორედ მათკენ არის მიმართული. როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ, გამგებმა უნდა გაიგოს...

2008 წელს ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ აგორებული კამპანიის ერთი ციკლი ჩავამთავრეთ და პასუხი გავეცით იმ დროს წამოჭრილ შეკითხვებს. ჩვენი მხრიდან ამ მეორე ციკლსაც ვასრულებთ — ვფიქრობთ, თქვენს ახლანდელ გამოგონილ ბრალდებებს და იმასაც, რასაც მომავალში იტყვით, უკვე ვუპასუხეთ და აღარ ვაპირებთ, თქვენს აბსურდულ მოსაზრებებს მომავალში რამე ფორმით გამოვეხმაუროთ.

***P. S.* ბატონო შალვა, არ დაგიმალავთ — როცა ამ წერილს ვწერდით, თქვენ მიმართ რამდენჯერმე სიბრალულის გრძნობა გაგვიჩნდა და აი, რატომ:**

***თქვენი ბრალეულობა ხომ სინამდვილეში მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ თქვენი სუსტი ნებისყოფის გამო, სიწუწკეს ვერ სძლიეთ და, როგორც ამბობენ, ერთხელ აიღეთ ფული იქ, სადაც არ შეიძლებოდა (რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომლებისგან, არჩევნებისთვის ადგილების გაყიდვით... და სხვ.). შესაძლებელია, ეს გაიმეორეთ კიდევ ერთხელ ან რამდენჯერმე.***

***რა მოხდა მერე, კაცო, ისეთი?! ამის გულისთვის ხომ არ შეიძლება, მთელი დარჩენილი ცხოვრება ადამიანს სხვის მონობაში გაატარებინო და სხვისი სურვილების შესრულებაში ჩაიხარჯო?! თანაც, უმეტესწილად, სხვისი სურვილები შესაძლოა, დიამეტრულად ეწინააღმდეგებოდეს საკუთარს, თუნდაც ბატონი ბიძინის შემთხვევაში.***

***თქვენც ხომ მშვენივრად იცით, რომ მას თქვენი ქვეყნისთვის, თქვენი შვილებისა და თქვენი სამშობლოსთვის კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია. ასეთ დროს კი იძულებულს გხდიან, თანაც ვინ — თქვენი სამშობლოს რეალური მტრები, რომ სიკეთეს ებრძოლოთ.***

***საუბედუროდ ჩვენი ქვეყნისთვის, თქვენ ერთადერთი არ ბრძანდებით ასეთი და თქვენი მეგობარიც ამ დღეშია. თუმცა რატომ მარტო ერთი მეგობარი — მეგობრები, და არა მარტო ჟურნალისტები. თქვენი მსგავსი ფსევდოოპოზიციაც მინიმუმ კიდევ ორი მოიძებნება საქართველოში.***

***თქვენი და თქვენნაირების მდგომარეობა შეიძლება თავისუფლად შევადაროთ იმ ერთი საბჭოთა პოეტის მდგომარეობას, რომელმაც კამოს (სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსიანი; პარტ.ფსევდონიმი) ასეთი ლექსი მიუძღვნა:***

*შენ შენი ნებით შენი ..... ცხოვრებაში ერთხელ შეჭამე,*
*ამით აგამაღლეს და კაცად გაქციეს...*
*მე ნაძვლი საუკუნეა ძალისძალად სხვის ..... მაჭმევენ*
*და დედას .... უმადობა თუ შემამჩნიეს“.*

*ამით მთავრდება „ქართუ ჯგუფის“ პრესსამსახურის განცხადება, რომელიც უცვლელად შემოგთავაზეთ.*

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ ვარაუდი

*21 მაისს საქართველოში „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ ფართომასშტაბიანი აქციაა დაგეგმილი. ივარაუდება, რომ ეს იქნება მასობრივი გამოსვლების პირველი ტალღა, რომელიც შედეგად ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლას მოიტანს. ამასთანავე, პერმანენტულად გაისმის მოსაზრებები ამ პროცესებში რუსეთის მონაწილეობის თაობაზე. სააგენტო „ინტერფაქსი“ კომენტარებისა და პროგნოზებისთვის რეგიონული საზოგადოებრივი მოძრაობის „საქართველოს საზღვრებს გარეთ“ ლიდერს, საქართველოს უშიშროების ყოფილ მინისტრ იგორ გიორგაძეს დაუკავშირდა.*

# „ოქრუაშვილის გვარით პოლიტიკოსს არ ვიცნობ“



**— როგორ აფასებთ, ოპოზიციის მიერ დაგეგმილი გამოსვლების პერსპექტივებს? აქვთ თუ არა მათ წარმატების შანსი?**

— მოდით, ქართულ ელმავალს წინ ნუ გავუსწრებთ. დაიწყოს აქციები და პერსპექტივებისა და წარმატებების შესახებ შემდეგ ვისაუბროთ.

**— საკუთარ გამოსვლებში სააკაშვილი ამტკიცებს, რომ ოპოზიციას არანაირი შანსი არ აქვს, რადგან საქართველოში ჩატარებული რეფორმები — პოლიციის, თანამედროვე გზების მშენებლობის და ა.შ. პოპულარულია და მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერით სარგებლობს. თქვენ თუ ეთანხმებით პრეზიდენტს?**

— ე.წ. წარმატებული ქართული რეფორმები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვასთან შედარებით, ნულის ფასია. რად მინდა პოლიცია, რომელიც ქრთამს არ იღებს, თუ ჩემი სამშობლო გახლეჩილია?! რად მინდა თანამედროვე გზები, რომლითაც სოხუმსა და ცხინვალში ჩასვლას ვერ შევძლებ?! ან როგორ უტრიალდება ხელისუფლებას ენა, რაიმე წარმატებებზე ისაუბროს, როდესაც მისმა პროვინციულმა ნაცისტურმა პოლიტიკამ ქართული სახელმწიფოებრიობის დაკარგვამდე მიგვიყვანა?! ან რომელ წარმატებაზე შეიძლება საუბარი, როდესაც საქართველოდან წასულთა რაოდენობა დღითი დღე იზრდება და ამერიკელთა გამოკითხვის შედეგების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 43% მზადაა, უკეთესი ცხოვრების ძიებაში სამშობლო დღესვე დატოვოს?!

გერმანიაში 1930-იან წლებში ასევე ჩატარდა რეფორმები, იქაც აგებდნენ გზებს და პოლიცია ქრთამს არ იღებდა, ამანაც ასევე გამოიწვია მოსახლეობის უმრავლესობისა და მსოფლიოს აღფრთოვანება, თუმცა რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ხელისუფლება, როგორც გახსოვთ, მსოფლიოსთვის ჯოჯოხეთად გადაიქცა და მასზე გამარჯვებას დიდი ძალისხმევა და ადამიანური მსხვერპლი დასჭირდა. ახლა საქართველოში ამავე თემის პაროდიასა და ფარსთან გვაქვს საქმე. დღეს იქ ქვეყანას პროვინციული ფაშები მართავენ! ამ ადამიანებმა ხელისუფლებაში ყოფნით კოსმიური სიმდიდრე იშოვეს და ამასთან, სისხლში გაისვარეს ხელი, ამდენად ძალაუფლებას მარტივად არ შეელევიან, რადგან იციან, რომ როგორც კი ამის შესაძლებლობა გაჩნდება, ხალხი მათ ყველაფრისთვის მოსთხოვს პასუხს!

**— ოპოზიციის მიერ დაგეგმილი საპროტესტო აქციის წინ ქართულ მედიაში აქტიურად მუსირებს მოსაზრებები ამ პროცესების რუსეთის მიერ დაგეგმვისა და მართვის თაობაზე. დეტალურად იქნა აღწერილი სხვადასხვა ვარიანტები. თქვენ და თქვენი მხარდამჭერები თუ აპირებთ საქართველოში დაწყებული საპროტესტო აქციების მხარდაჭერას და, საერთოდ, როგორია თქვენი მონაწილეობა მიმდინარე მოვლენებში?**

— დავიწყოთ იმით, რომ ახლა მე რეგიონულ საზოგადოებრივ მოძრაობას — „საქართველო საზღვრებს გარეთ“ ვხელმძღვანელობ. იგი აერთიანებს მათ, ვინც სხვადასხვა მიზეზებით, არა მარტო პოლიტიკური, არამედ ძირითადად ეკონომიკური მიზეზით იძულებული გახდა, სამშობლო დაეტოვებინა და რუსეთში წასულიყო. სწორედ საქართველოს ემიგრანტთა ეს გაერთიანებაა რეალურად დამოუკიდებელი (ვაშინგტონისგან, რუსეთისგან), სუვერენული, გაერთიანებული დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის იდეის ირგვლივ. ის მრავალვექტორულ საგარეო პოლიტიკას გაატარებს და, რა თქმა უნდა, ამავდროულად რუსეთის პარტნიორი და კეთილი მეზობელი იქნება. ამდენად, მე დღეს ჩემი მუშაობის აზრს რეალურად ვხედავ.

რაც შეეხება ამჟამად თბილისში მიმდინარე პროცესებს, ჩემთვის თბილისის რეჟიმის ჩამოგდების გეგმაში მონაწილეობის მიწერა არასერიოზული და პროვოკაციულია, თუმცა საქართველოს ხელისუფლებას ჩვევად ექცა, ყველა უბედურებაში რუსეთი დაადანაშაულოს, მე და ჩემი მხარდამჭერები კი — ამ უბედურებების მთავარ ორგანიზატორებად გამოგვაცხადოს.

რეალურად, რა თქმა უნდა, საქმე არა რუსეთში ან მით უფრო ჩემშია, არამედ იმაში, რომ თავად ქართველ ხალხს უკვე ყელში აქვს ამოსული ეს პოლიტიკა და ნამდვილ ცვლილებებს მოითხოვს. ყველამ იცის, რომ არ არსებობს სიტყვის თავისუფლება და მედია, ადამიანის უფლებები ირღვევა, თუმცა ნებისმიერი, ვინც ხმას ამოიღებს, ავტომატურად კრემლის აგენტად და საქართველოს მტრად ცხადდება. ვინც გაბედავს, ქუჩაში გავა და საკუთარ პროტესტს საჯაროდ გამოთქვამს, თავს სერიოზულ საფრთხეში იგდებს. შეგახსენებთ, რომ დღემდე ქართულ საპატიმროში იმყოფება სამი შვილის მარტოხელა დედა მაია თოფურია, ასევე თემურ ჟორჟოლიანი, კახაბერ ქანთარია, რამაზ სამნიძე, მათთან ერთად 100-ზე მეტი ადამიანი, რომლებიც საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების მიერ პოლიტიკურ პატიმრებად არიან აღიარებული. არ ვისურვებდი, მათი ბედი „სახალხო კრების“ მიერ დაანონსებული იმ აქციების რომელიმე მონაწილეს გაეზიარებინა, რომელთაგან პირველი 21 მაისსაა დაგეგმილი.

რა თქმა უნდა, ჩვენ ყველა, და საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა, მოუთმენლად ველით საქართველოს ამჟამინდელი რეჟიმის დასასრულის მოახლოებას, თუმცა ქართული ისტორიისთვის გადამწყვეტი არ არის, როდის აღიგვება პირიდან მიწისა ეს რეჟიმი — ახლა, მაისში, ზამთარში თუ ზაფხულში... მთავარი ისაა, რომ ეს გარდაუვალია! ჩემი, ჩემი მოძრაობის და, დარწმუნებული ვარ, ყველა ნორმალური ადამიანის სიმპათია, რა თქმა უნდა, იმათ მხარესაა, ვინც ამა თუ იმ ფორმით ამ ხელისუფლებას გადამწყვეტ „კმარა, გადადექი!“ ეუბნება.

**— ამ თვალსაზრისით როგორ აფასებთ „სახალხო კრების“ ლიდერის ნინო ბურჯანაძისა და მათ პერსპექტივებს, ვინც ამ აქციებს ხელმძღვანელობენ?**

— არაფრის პროგნოზირება არ მსურს, რათა კიდევ უფრო მეტი განხეთქილება არ შევიტანო ოპოზიციის ისედაც არშემდგარ ნაკრებში. თუმცა თითქმის 100%-ით შემიძლია, გამოვიცნო, როგორ განვითარება მოვლენები საქართველოში — სამწუხაროდ, გარკვეულ დრომდე ჩემი ქვეყნისა და ხალხისთვის ძალზე არასახარბიელო შედეგით. მინდა, იმედი ვიქონიო, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია ქართველი ხალხის ამჟამინდელი ჭირისგან განსაკურნებლად ძალების გაერთიანებას შეძლებს. შემიძლია, მტკიცედ გითხრათ: იმას, ვინც ქართველ ხალხს დიქტატურის, სამხედრო დამნაშავეებისა და ბანდიტებისგან გათავისუფლებაში დაეხმარება, იმას, ვინც ჩვენს ქვეყანას თავისუფლებას, დამოუკიდებლობასა და დემოკრატიას მოუტანს, ვინც ერს არჩევნების უფლებას მისცემს, ქართული ისტორიის პანთეონში ადგილი მომზადებული აქვს!

**— რა როლი შეიძლება შეასრულოს ამ ყველაფერში თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, ახლა კი ოპოზიციური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ოქრუაშვილმა?**

— მე ასეთი გვარით პოლიტიკოსს არ ვიცნობ.

**— კარგით, თქვენს თავს როგორ ხედავთ ეროვნული ლიდერის როლში არა მარტო საზღვარგარეთ, არამედ თავად საქართველოში?**

— ლიდერებს ერი თავად ირჩევს, ლიდერის და, მით უფრო, საკუთარი თავის ლიდერად დანიშვნა არ შეიძლება. ვიმედოვნებ, რომ უახლოეს მომავალში ჩემი ცოდნა, გამოცდილება და შესაძლებლობები ჩემს მშობლიურ საქართველოს და მის ხალხს გამოადგება.

**მაკა ბრეგვაძე**

◉ რეპლიკა

# რობიკო სტურუა ქსენოფობი კი არა, ნაცების ყელში გაჩხერილი ძვალია!

(მესამე გვერდიდან)



კორესპონდენტის (ბაია ამაშუკელი-**ავტ.**) შეკითხვაზე — **ეს დამოკიდებულებაა** (ზოგადად ნაცების ქართველთმოძულეობას გულისხმობდა — **ავტ.**) **გასაკვირი, რაღაც სიყვარული შენი ხალხისადმი, რომ შენიანია, არ უნდა ჰქონდეთ? დიდი რეჟისორი პასუხობს — სომეხია და რა ვქნათ... ეს ხომ არ არის დამალული?**

და დაიწყო, მაგრამ, რა დაიწყო! გამოვარდნენ ცნობილი თუ უცნობი „ლიბერალები“ და ეს როგორ გაბედაო, ეს ხომ ქსენოფობიაა, ანუ სომეხი ერის შეურაცხყოფაა, პასუხი უნდა მოსთხოვოს საზოგადოებამ რობიკო სტურუასო - ბრძანა, ცნობილმა „ლიბერასტკამ“ ჟურნალ „ტაბულადან“ თამარ ჩერგოლეიშვილმა, რომელსაც იქვე ბანი უთხრა ცნობილმა მილიონერმა ბლენძმა კახა ბენდუქიძემ — ადრე ძალიან მომწონდა მაგის სპექტაკლები და ახლა, რაც ეგეების ლაპარაკი დაიწყო, აღარ მომწონსო. და საერთოდ, ეგ კაცი ჯერაც ვერ განთავისუფლდა საბჭოური მემკვიდრეობის („საწყალი“ რობიკო... — **ავტ.**) ტყვეობიდანო და ა.შ.

გასაკვირი ეს და მსგავსი „ლიბერასტული“ ლათაიები კი არა, ჩემთვის ის იყო, რომ არავინ გააპროტესტა თავად რობიკოს ნათქვამის მთავარი შინაარსი - რას ამბობს ეს კაცი, როგორ შეიძლება საქართველოს პრეზიდენტი ეთნიკური სომეხი იყოსო! და მერე ეზუტურათ სომეხი ხალხის შეურაცხყოფაზე და მსგავს უაზრობებზე.

დიახ, უაზრობებზე, რადგანაც იმის სურვილი, გნებავთ მოთხოვნა, რომ საქართველოს პრეზიდენტი ტომით ქართველი იყოს, თუ ქსენოფობიაა, ან ანტიდემოკრატიულია, მაშინ გაუმარჯოს ასეთ ქსენოფობიას და ძირს ასეთი დემოკრატია! ეგეც არ იყოს, იგივე რობიკოსგან „შეურაცხყოფილ“ ჩვენს ძმებს, სომხებს ვეკითხები — სომხეთის პრეზიდენტად არასომეხს ისურვებენ? და თუ ისურვებენ, რომელ საუკუნეში აირჩევენ, თუნდაც მათ სტრატეგიულ მფარველ რუს პრეზიდენტს? ქართველზე აღარაფერს ვიტყვი...

იქვე ტელესიუჟეტის ავტორმა მრავალმნიშვნელოვნად დასძინა, რობერტ სტურუამ უარი გვითხრა კომენტარზეო...

რა კომენტარი უნდა გაეკეთებინა? ის, რომ მთელი მისი შემოქმედება, სწორედაც რომ, კაცთმოყვარეობის, ტოლერანტობის, ანუ ზოგადად ზნეობრიობის მაგალითია და არა ქსენოფობიის, რაშიაც უსინდისოდ სდებენ ბრალს? თუ ის უნდა ემტკიცებინა, რომ საბჭოთა მენტალიტეტის ტყვეობაში არასოდეს ყოფილა?

არ ვიცი, არ ვიცი.! უფრო სწორედ აქ პირდაპირ დასმულ კითხვებზე და არდასმულ, მაგრამ წინამდებარე წერილიდან ბუნებრივად გამომდინარე კითხვებზე პასუხები მკითხველისთვის მიმინდვია.

ერთი რამ კი ვიცი და მჯერა, რომ ამ თემას გაგრძელება აუცილებლად ექნება, ანუ „ლიბერასტული“ შეტევა რობიკო სტურუაზე გაგრძელდება, რათა იქნებ, ბოლოს და ბოლოს, ქსენოფობიის მიზეზით მოიშორონ ის, ვინც ამდენი წელიწადია, როგორც ჩვენში იტყვიან, ცივი ჭადივით ჰყავთ ყელში გაჩხერილი მისტერ რობერტ სტურუა...

**დავით მხეიძე**

◉ ინფორმაცია

## ბიზნესმენები განბაჟების პროცედურის გამარტივებას ითხოვენ

**ალნიშნულ საკითხზე ისინი სავარაუდოდ 21 მაისს ბათუმში დაგეგმილ შეხვედრაზე, ბიზნესომბუდსმენს პირადად მოახსენებენ.**

**ბიზნესმენები განმარტავენ, რომ კარგი იქნება თუ შემოსავლების სამსახური პროდუქციის ყოველი განბაჟებისას გარანტიის წარდგენის ვალდებულებას მოხსნის და მოფიქრებული იქნება ერთიანი მოდელი, რომლის მიხედვითაც ერთჯერადი გარანტიით მეწარმეები საქონლის მრავალჯერად განბაჟებას მოახერხებენ.**

**შემოსავლების სამსახურში კი აცხადებენ, რომ აღნიშნულ საკითხზე მუშაობა უკვე დაწყებულია და შემოსავლების სამსახური აღნიშნული რეგულაციის გამარტივებაზე მუშაობს.**

## გადასახედია ქართულ-ინგლისური კომპანიის ხელშეკრულება

**მთავრობა ქართულ-ინგლისური კომპანია „ცირკონ ისთეითს ჯი-თი-ბისთან“ დადებულ ხელშეკრულებას გადახედავს. „ცირკონ ისთეითს ჯი-თი-ბი“ სახელმწიფოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს ვერ ასრულებს.**

**კომპანიას ბათუმში ყოფილი მინისტრთა საბჭოს შენობის ადგილზე 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო უნდა აეშენებინა.**

**ინვესტორმა შენობის დემონტაჟი მოახდინა, თუმც შემდგომ სამშენებლო სამუშაოები არ დაუწყია. თუ კი აჭარის მთავრობასა და ინვესტორს შორის ხელშეკრულების დეტალებზე შეთანხმება ვერ მოხდა, მაშინ აჭარის მთავრობას მისი ანულირება მოუწევს და ინვესტორს ქონება ჩამოერთმევა.**

**ბათუმში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ფართი „ცირკონ ისთეითს ჯი-თი-ბი“-მ აუქციონზე 2007 წელს შეიძინა, რაშიც 5 მლნ. დოლარი გადაიხადა. პირობების თანახმად სასტუმრო არანაკლებ 80 ნომერზე უნდა ყოფილიყო გათვლილი. როგორც ცნობილია „ცირკონ ისთეითს ჯი-თი-ბი“ სასტუმროს ოპერირებაზე მოლაპარაკებებს „ჰილტონთან“, „მერიოტთან“ და „ინტერკონტინენტალთან“ აწარმოებდა.**

ჯი-ეიჩ-ენი

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

ჯემალ მეხრიშვილი

# „მეეზოვე“ - მხატვრის ავტოპორტრეტი?!

ერთი თავი ახალი წიგნიდან

*გამომცემლობა მწიგნობარმა ახლახან დასტამბა მწერალ ჯემალ მეხრიშვილის წიგნი „გათავისუფლება“.*

*შემეცნებითი ხასიათის, ოღონდ მხატვრული ენითა და სტილით დაწერილი ეს წიგნი ფიროსმანის პიროვნებასა და შემოქმედებას ეხება.*

*თვითონ ავტორი წარმოშობით მირზაანის მეზობელი სოფლიდანაა, ამდენად ზედმიწევნით იცნობს ამ კუთხეს და ისეთი დამაჯერებლობით გვიხატავს გენიოსი შემოქმედის პირველსაცხოვრისის მიდამოებსა და მის ნიშანდობლივ ბუნებრივ თვისებებს, მკითხველს მირზაანი თვალითაც რომ არასოდეს ჰქონდეს ნანახი, თავს მის განუყოფელ ნაწილად იგრძნობს...*

*და რაც მთავარია, მწერალი სრულებით ახალ, განსხვავებულ შეხედულება-მოსაზრებებს გამოთქვამს როგორც ფიროსმანის ზოგიერთ ნახატზე არსებითად, ისე მის შემოქმედებაზეც.*

*იმედია, „გათავისუფლება“ დააინტერესებს როგორც მხატვრებს, ხელოვნებათმცოდნეებს და ფიროსმანის თაყვანისმცემლებს, ისე ნებისმიერ წიგნიერ პიროვნებას.*

*მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ ამ წიგნის ერთ-ერთ თავს.*

განჯის მხარეში საქონლის სატვირთო მატარებლის კონდუქტორად მუშაობისას ჯანმრთელობაშერყეულ ნიკო ფიროსმანაშვილს 1894 წლის გაზაფხულზე რკინიგზისთვის სამუდამოდ დაუნებებია თავი და ახლა ვაჭრობაში უცდია ბედი – სამსახურში საბოლოო ანგარიშსწორებისას აღებული სათავნო ფულით ვერის თაღდაღმართზე (ამჟამინდელი მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩა – ყოფილი ელბაქიძის დაღმართი) სარძევე დუქანი გაუხსნია.

მხატვრის ბიოგრაფიული მონაცემების ერთ-ერთი პირველი შემკრებ-მკვლევარის, პოეტ გიორგი ლეონიძის (1900-1966) სიტყვებით რომ ვთქვათ, ფიროსმანის პირველი „სავაჭრო კომპანიონი“ დიმიტრი ალუღიშვილი ყოფილა.

1930 წელს ამ დიმიტრის გ. ლეონიძისთვის ჩაუწერინებია.

„ნიკალაი ქალაქში გავიცანი პირველად, თუმცა ქიზიყიდან მეზობლები ვართ“.

ძნელია ამ ფრაზიდან დაზუსტდეს, რა უნდა იგულისხმებოდეს ქიზიყის არეალად: ზოგადად ქიზიყი, სოფელ მირზაანთან ახლოს მდებარე რომელიმე სხვა სოფელი თუ მხოლოდ მირზაანი, საიდანაც თვით ნიკო ფიროსმანაშვილი იყო და ადგილი შესაძლებელია, დიმიტრი ალუღიშვილიც სწორედ იქიდანვე ყოფილიყო, ვინაიდან როგორც უწინ, ისე დღესაც იქ საკმაოდ ცხოვრობენ ამ გვარის წარმომადგენლები.

დ. ალუღიშვილის მონათხრობის მიხედვით, ნიკო ფიროსმანაშვილი ოჯახში მეტად მიღებული ჰყოლიათ. რად ღირს თუგინდ მარტო ეს ორი ფაქტი: ფიროსმანი დიმიტრის უმცროსი ქალიშვილის, მარუსას ნათლია ყოფილა, ხოლო დიმიტრის ცოლისდის, ნინოსი – მეჯვარე. სამწუხაროდ, ორივე მათგანს ნაადრევად მოშლია წუთისოფელი: ნინო შვიდი თვის ჯვარდაწერილი გარდაცვლილა, მალე სამი წლის მარუსაც დეიდის კვალს გამოსდგომია. ამ უბედურებას ფიროსმანი თურმე უკიდურესად განიცდიდა – ეს რა ბედნავსი ხელისა ვყოფილვარო!

1930 წლის 28 მარტს გ. ლეონიძის მიერ ჩაწერილ დ. ალუღიშვილის მონათხრობში, ჩემი აზრით, განსხვავებულ და განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ერთი ადგილი, რომელსაც თუ განსჯა-ვარაუდის ქურაში გამოვატარებთ და გამოვწკეპავთ, იქნებ პაწია გასაღების როლი მაინც ეთამაშა დიდი მხატვრის შემოქმედებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი საიდუმლოს ამოხსნაში თუ ვერა, მასთან მიახლოებაში მაინც.

სანამ ამ პატარა ციტატას მოვიყვანდე, ჯერ მკითხველებს ავუხსნი: მასში სამგან ნახმარი მრავალწერტილი მე არ მეკუთვნის – ის ან ალუღიშვილისეულია ანდა ლეონიძისეული. მაშ, ასე!

„ერთხელ მეც დამხატა. თურმე უჩუმრად გადამიღო ვაჭრობის დროს. დიდხანს ვინახავდი სახლში ამ სურათს. რაღაც საზარელი შესახედავი ვიყავი, შავფერი... გავშვებს ეშინოდათ... დავწვით...“

ქართული სინამდვილისთვის ეს თავისთავად უნიკალური ცნობა შეიძლებოდა მსოფლიო მასშტაბის უკვდავ ფრაზად ქცეულიყო და მრავალი ქვეყნის სამხატვრო სასწავლებელთა ქრესტომათიულ სახელმძღვანელოებსა და ალბომებში საპატიო ადგილი დაემკვიდრებინა, ორ პიროზას რომ აკმაყოფილებდეს: თვითონ დიმიტრი ალუღიშვილს არ დაეწვა და შთამომავლობისთვის დაუზიანებლად შემოენახა ის „რაღაც საზარელი შესახედავი“ პორტრეტი, ხოლო თავის მხრივ გიორგი ლეონიძეს დ. ალუღიშვილის ფოტოგრაფიული სურათისთვის ეზრუნა! მაშინ თვალსაჩინო იქნებოდა შემოქმედსა და ობივატელს შორის მიმდინარე მარადიული ურთიერთბრალდების ერთ-ერთი კლასიკური შემთხვევის უტყუარი საბუთები: სინამდვილეში როგორი ფიზიონომიის იყო თვით დიმიტრი ალუღიშვილი და იგი ფიროსმანმა რანაირად აამეტყველა თავისი მხატვრულ-ფსიქოლოგიური ენით, ხოლო რამდენად საფუძვლიანად შეიძლებოდა მიჩნეულიყო „რაღაც საზარელი“ პორტრეტით დამფრთხალი ყოფილი რკინიგზელის, ახალგამომცხვარი წვრილი მოვაჭრისა და მომავალი გენიოსი მხატვრის პირველი „სავაჭრო კომპანიონის“ ძრწოლა და პრეტენზიები.

სამწუხაროდ, როგორც მოგონებებიდან ვგებულობთ, დიმიტრის ბავშვების შემშინებელი ის „რაღაც საზარელი შესახედავი“ თავისი პორტრეტი ცეცხლისთვის მიუცია, ხოლო რაოდენ დასანანი და გასაკვირიც უნდა იყოს, თვით გიორგი ლეონიძესაც კი, ფიროსმანის ბიოგრაფიის ბევრი მკვლევარის მსგავსად, ვერ მოფიქრებია, დიდ მხატვართან დაახლოებული ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პიროვნებისა და მთელი მისი ოჯახის ფოტოსურათების მოპოვება და შთამომავლობისთვის შემონახვა.

დ. ალუღიშვილის იმ სვეგამწყრალი პორტრეტის მაგალითი დასანანია, მაგრამ არა გასაკვირი, ვინაიდან მსგავსი შემთხვევები ფერწერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში არც პირველია და, ცხადია, არც უკანასკნელი იქნება. აი, თუგინდ ერთი მიმსგავსებული მაგალითი.

1889 წელს ბრეტანში (ნახევარკუნძული ჩრ. დასავლეთ საფრანგეთში, ქვეყნის ოცდაორიდან ერთ-ერთი დიდი ოლქი) დაბრუნებულმა ფერმწერმა პოლ გოგენმა (1848-1903) სოფელ პონტავენში დახატა თავისი ევროპული პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტილო – ბრეტანულ სამოსში გამოწყობილი აქაური ახალგაზრდა ქალის, მარი-ანჟელიკ სატრის პორტრეტი „მშვენიერი ანჟელა“.

დიდი ფრანგი მხატვრის გარდაცვალებიდან 17 წლის შემდეგ, 1920 წელს ქალბატონმა ანჟელამ აღიარა: როცა გოგენმა დასრულებული ტილო უჩვენა, მისი პირველი რეაქცია იყო – „რა საშინელებაა!“

ეს ბრეტანელი ახალგაზრდა ქალი რაკი თავის ნატურალისტურ პორტრეტს ელოდა, ცხადია, ვერც ჩასწვდებოდა ხელოვნების შედევრულ ქმნილებას, თუმცა ეს გამორჩეული პორტრეტი გოგენის სამი უკანასკნელი წლის ფერწერული ევოლუციის წარმატებული შედეგი იყო. ამიტომ ვისაც მხატვრობის ინჩიბინჩი ესმის, ის უმალ მიხვდება, რომ გოგენი მოდელის სახის ფოტოგრაფიულ გადმოღებას კი არ ეცდებოდა, არამედ მისი მიზანი სიმბოლისტურ-ფსიქოლოგიური ტილოს შექმნა იქნებოდა.

პ. გოგენთან დაკავშირებულ ამ შემთხვევაზე მსჯელობა მეტად მიმზიდველი და თავგასართობია, ვინაიდან პარიზში, ორსეს მუზეუმშია დაცული როგორც დიდი მხატვრის ფერწერული ტილო „მშვენიერი ანჟელა“, ისე მისი მოდელის, ქ-ნ ანჟელა სატრის ფოტოსურათიც! მაგრამ როგორ მოვიქცეთ ფიროსმანის უიღბლო ნახატის შემთხვევაში?

დიმიტრი ალუღიშვილის ის პორტრეტი, მისივე შეფასებით, ქ-ნ ანჟელა სატრისა არ იყოს, როგორი „რაღაც საზარელიც“ უნდა ყოფილიყო, თავისთავად ცხადია, მაინც უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა, ვინაიდან ფიროსმანის ხელიდან ყოფილა გამოსული. მაგრამ ეს ზოგადად! ხოლო თუ მტანჯველი ცნობისმოყვარეობის მომგვრელი ამ შემთხვევისთვის კონკრეტული სახის წარმოდგენის მიცემას მოვისურვებთ, მაშინ ობობას ქსელით ჰაერში უმწეოდ მოფართხალეებს დავემსგავსებით, ვინაიდან სრულებით შეუძლებელია დაახლოებით მაინც ვივარაუდოთ, როგორი იქნებოდა დ. ალუღიშვილის ის პორტრეტი: მართლა „რაღაც საზარელი შესახედავი“, თავის კომპანიონთან შეხუმრებული დებიუტანტი მხატვრის დაუდევარი, თავგასართობი თუ წრეგადასული კარიკატურული ხუმრობა, სარკასტული ან უბოროტო მეგობრული შარჟი, გენიოსი პრიმიტივისტის მიერ მხატვრობაში საკუთარი შესაძლებლობების პირველი მოსინჯვის გაბედული, გაუბედავი, ალალბედური, წარმატებული თუ წარუმატებელი ცდა?!. ვინ იცის, იქნებ დ. ალუღიშვილი ცამდე ალალია, ის „რაღაც საზარელი“ პორტრეტი მისი გარეგნობისა და ხასიათისთვის მართლაც სულ მთლად შეუფერებელი და ამდენად, მოსასპობი იყო?! ანდა პირიქით, ამ უკანასკნელს, როგორც გაუნათლებელსა და მით უმეტეს, სახვითი ხელოვნებიდან შორს მდგომს, ალბათ, ფერწერაც სინამდვილის ფოტოგრაფიულ ასახვად წარმოედგინა და ფიროსმანის იმ ნახატისგანაც სწორედ ამასვე მოითხოვდა! ხოლო მხატვრის ვულკანისებურმა გენიამ თავისი პირველი ამოფრქვევა-გამოსხივებისთანავე „სავაჭრო კომპანიონის“ იქნებ ისეთი შედევრულ-ფსიქოლოგიური პორტრეტი შექმნა, როგორც, მაგალითად, 1890 წელს პარიზის მახლობლად, სოფელ ოვერ-სიერ-უაზში დასახლებულმა ჰოლანდიელმა ფერმწერმა და გრაფიკოსმა, ვინსენტ ვან გოგმა (1853-1890) თავისი მკურნალი ფსიქიატრის, „ექიმ პოლ გაშეს პორტრეტი“, რომელიც საუკუნის შემდეგ, 1990 წელს აუქციონზე 82 მილიონ ამერიკულ დოლარად გაიყიდა!!!

ღმერთთან სწორი სჯობს: ფიროსმანის იმ, დიდი ხნის წინ უკვე განადგურებული პორტრეტის ავკარგიანობაზე მეტად მე სულ სხვა რამის ინტერესი მტანჯავს – დ. ალუღიშვილმა ის თავისი „რაღაც საზარელი“ პორტრეტი ფიროსმანის გარდაცვალების შემდეგ დაწვა თუ მის სიცოცხლეშივე და, რაც მთავარია, ეს თვით ფიროსმანსაც აცოდინეს თუ არა?! და თუ გაიგო, ამან მასზე რანაირი ზეგავლენა მოახდინა: თანამოსაქმის შეხედულება-საქციელმა უფრო გაუკაჟა პროფესიული თავდაჯერება თუ პირიქით – როგორც მომავალ მხატვარს და მეტადრე კი როგორც პორტრეტისტს, თავზარი დასცა და თვითრწმენა შეურყია?!

რისთვის დამჭირდა ამ ბოლო თავის ამხელა და ამგვარი შესავალი?

აი, რისთვის. მკვლევარების ფრთხილი ვარაუდი – ფიროსმანის ნახატებზე „დედა-შვილი“, „მამა-შვილი“ და „ბიჭი საგზლით“ გამოსახული პატარა ბიჭუნები შეიძლება მხატვრის ავტოპორტრეტები იყოსო! – უცილობელ ჭეშმარიტებადაც რომ მიგვეჩნია, მაინც პირდაპირ უნდა ითქვას: ბუნებაში არ არსებობს ზრდასრული ფიროსმანის, როგორც მხატვრის, ნამდვილი ავტოპორტრეტი. არადა, გასაკვირია, თვითნაბადმა გენიალურმა მხატვარმა როგორ გაუძლო შემოქმედთა ამ ერთ-ერთ ყველაზე დაუძლეველ ცდუნებას?! მით უმეტეს, რომ ავტოპორტრეტის შექმნა ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს (ფიდიასი) და წარმატებით გრძელდებოდა შუა საუკუნეებშიც (მაზაჩო, ბოტიჩელი, გირლანდაიო, დიურერი, ტიციანი, ვერონეზე, ელ გრეკო, მამუკა თავაქალაშვილი, რუბენსი, ველასკესი, რემბრანდტი, ფაბრიციუსი, ვან დეიკი, პუსენი და მრავალი სხვ.). აღარაფერს ვამბობ უშუალოდ ფიროსმანის წინამორბედ და მის თანამედროვე უცხოელ თუ ქართველ მხატვრებზე.

ავტოპორტრეტის შექმნის მაცდურ იდუმალებაზე, დაუძლეველ მიმზიდველობასა და ამოუწურავ შესაძლებლობებზე ღაღადებს თუგინდ ეს ერთი შეხედვით მშრალი, თუმც გასაკვირი სტატისტიკა: ფიროსმანის თანამედროვე ჰოლანდიელ ფერმწერს, ვან გოგს თავისი ორმოცდაშვიდი (!) ავტოპორტრეტი ჰქონია დახატული! ფიროსმანს კი ერთი ობოლი ავტოპორტრეტიც არ დაუტოვებია.




რატომ?

ამაზე რაიმე ნათელი, ჩამოყალიბებული ახსნა-განმარტება არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში მე პირადად ჯერ არსად შემხვედრია.

რაკი ბედისწერამ ლიტერატურას დამაკავშირა, სხვადასხვა ეპოქის რომელიმე სახელოვან შემოქმედზე უბრალო ადამიანებს, ვინ იცის, რამდენჯერ მოუმართავთ ჩემთვის ჯიქური კითხვებით: რატომ მოღვაწეობდა მეფის კარზე?.. რატომ წავიდა ან არ წავიდა ემიგრაციაში?.. რატომ დათანხმდა დუელზე?.. რატომ თქვა უარი ჰერცოგის მიწვევაზე?.. რატომ არ გაეყარა ასეთ ცოლს?.. რატომ გაიქცა თეატრიდან?.. რატომ არ გადავიდა სხვა ოპერაში?.. რატომ არ შეირთო ის მდიდარი ქალი?.. რატომ მიატოვა არქიეპისკოპოსის კაპელა?.. რატომ სხვა ჟურნალში არ დაიწყო თანამშრომლობა?.. რატომ ჩადგა პაპის სამსახურში?.. ძმას რატომ დაანება მთელი ქონება და არ იჩივლა?.. მეგობარს რატომ აპატია ღალატი და ამგვარი უთვალავი – რატომ?!

არ დავმალავ, ასე როყიოდ დასმული კითხვები მთრგუნავს ხოლმე, ვინაიდან მწველი ინტერესით აღგზნებული ადამიანები გამოდიან არა შემოქმედის საქმიანობის სასიცოცხლო ინტერესებიდან და მისი სულიერი სიფაქიზის ნიუანსებიდან, არამედ სწორხაზოვანი, პროვინციული ტლანქი პატივმოყვარეობის ეგოისტური დაკმაყოფილების ჯიუტი პოზიციიდან!!!

ხშირად მათ თავისით არ ესმით, ხოლო გინდ აუხსნათ, ბევრს ვერც მაშინ გაუგია, რომ რომელიმე სახელმოხვეჭილი შემოქმედი პირად ცხოვრებასა თუ სამოღვაწეო ასპარეზზე რაიმე ნაბიჯის გადადგმა-გადაუდგმელობით თავის კეთილდღეობას, სიამოვნებას და პიროვნულ ამბიციებს ხშირად მხოლოდ იმისთვის იყენებს უარეს, ხან კი დამამცირებელ მდგომარეობაში, რომ სამაგიეროდ უფრო უკეთესი პირობები შეექმნას თავისი ცხოვრების ერთადერთ მიზანსა და მოწოდებას – ღვთისგან ბოძებული ნიჭის ბუნებრივ გაფურჩქვნა-განვითარებას!

დაინტერესებულთა წრეში ხშირად მოუმართავთ ამგვარივე მიამიტურ-გულუბრყვილო კითხვით.

– რატო ფიროსმანმაც არ დახატა ავტოპორტრეტი?

ამ საიდუმლოთი გატაცებულ მხატვრის თაყვანისმცემლებს მე ასე შევუტრიალებ კითხვას.

– კი მაგრამ, რისთვის უნდა დაეხატა? ძაღლუმადური ცხოვრებით ისედაც გატანჯულ მხატვარს საყოველთაო კილვა-დაცინვისა და უბედურების მეტს რას მოუტანდა თავისი ავტოპორტრეტი?

მკითხველს არ ეგონოს, ეს ჩემი ნათქვამი უცილობელ ჭეშმარიტებად მიმაჩნდეს. იგი მხოლოდ ვარაუდია, რომელთანაც ლოგიკურ მსჯელობას მივყავართ.

საერთოდ, როგორია ხოლმე მეტ-ნაკლებად განათლებულ, ცივილიზებულ საზოგადოებაში მცხოვრები მხატვრის მიერ შესრულებული ავტოპორტრეტის ბედი? მას რომელიმე სამხატვრო დაწესებულება, მეცენატი ან ფერწერისა თუ უშუალოდ ამ მხატვრის თაყვანისმცემელ-კოლექციონერი ყიდულობს. ზოგჯერ თვითონ მხატვარი თავის ავტოპორტრეტს უანგაროდ ჩუქნის ხოლმე რომელიმე საგამოფენო გალერეა-მუზეუმს ანდა ისეთ პიროვნებას, ვინც ამის ღირსად მიაჩნია. არადა, ეს ავტოპორტრეტი მხატვრის ბინაში ან მოწესრიგებული სახელმწიფოს რომელიმე საიმედო საცავში ხან ათწლეულობით უვნებლად ინახება და თავის დროს უცდის.

უსახლკარო, ულუკმაპურო, ეული ქუჩის მხატვრის და იმდროინდელი საქართველოს პირობებში?

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ დ. კაკაბაძის მიერ დახატული სავალალო სურათი:

„ჩვენში არ იყო განვითარებული საკუთარი საზოგადოებრივი ცხოვრება და არც შესაფერისი კულტურული შეგნება არსებობდა... დღევანდელ ჩვენს მხატვრობაშიც არავითარი მხატვრული აზრი არ არსებობს, არც მხატვრული ცხოვრების ორგანიზაციული წესი. არც ქართულ საზოგადოებაში არსებობს მხატვრული შეგნება და ინტერესი“.

ფიროსმანს დიდი სურვილიც რომ ჰქონოდა, ამგვარ პირობებში რა აზრი ექნებოდა ავტოპორტრეტის შექმნას? რომელიმე დაწესებულებისთვის ეჩუქებინა? ჰმ! მაშინ ვის რად უნდოდა ვიღაც „მალარის“ ავტოპორტრეტი ანდა სად უნდა მიეტანა, როცა მხოლოდ ფიროსმანის გარდაცვალების შემდეგ დაარსდა საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეა, საქართველოს სამხატვრო აკადემია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს მხატვართა კავშირი, საქართველოს სსრ თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვა მსგავსი დაწესებულებები.

შეენახა? კი მაგრამ, სად, როგორ, ვისთან? უარარაო ფიროსმანმა ხომ 45 წელი (!!!) იცხოვრა თბილისში, მაგრამ ისე გამოესალმა წუთისოფელს, თავისი საკუთარი, ნაბდისოდენა კუთხე-კუნჭულიც არ ღირსებია?

2003 წლის 4 ოქტომბრიდან ჩვენს სანათესაოში ჯაჭვური რეაქციისებური სიკვდილიანობა დაიწყო. ჩემი მეუღლის უმცროს დას, მანანას, 23 წლის ვაჟიშვილი, ოთარი სარკომათი გარდაეცვალა. მამამ, 52 წლის აკაკი ქილიფთარმა ეს ვერ გადაიტანა და ორიოდე წელიწადში ახლა ის გამოგვეცალა ხელიდან. ამას ვეღარც 89 წლის თიანეთელმა პაპამ, „ბერმუხად“ წოდებულმა რევაზმა გაუძლო და რამდენიმე თვეში წუთისოფელს უდრტვინველად გამოეთხოვა. უსაშველო დარდ-ნაღველმა 2007 წელს მანანაც მოიდნო – ისიც ოზურგეთის რაიონის სოფელ ცხემლისხიდში, თავისი ქმარ-შვილის გვერდით დავკრძალეთ...

ოჯახში ხანგრძლივი, მდუმარე გლოვა-მწუხარება ჩაგვისახლდა. მეტისმეტად მძიმე დღეები მედ-

გა. დარდის გასამკლავებლად მოთხოვნილებად მექცა „Аврора“-ს მიერ გამოცემული ფიროსმანის ტანმძიმე ალბომის ხშირ-ხშირი თვალიერება. იმხანად ალბომს კარადაში აღარც კი ვაბრუნებდი ხოლმე – ხან პირდაპირ მაგიდაზე გულადმა გადაშლილს ვტოვებდი.

განსაკუთრებით მამშვიდებდა თვით ფიროსმანის დიდი ფოტოსურათი. სევდა-კაეშნის მოწოლისას მას აღვიქვამდი არა როგორც გენიოს მხატვრად, არამედ როგორც გედიქის ხევგაღმა მცხოვრებ ქიზიყელ უფროს ღლეხკაცად, რომლის საოცრად თბილი, ჭკვიანი თვალები და მშვიდ მანუგეშებდა, ამაოებათა ამაოების საიდუმლოს მიხსნიდა, მოთმინებას მასწავლიდა...

2008 წლის აპრილის ერთ საღამო ხანს, სამზარეულოში, თავის ამოჩემებულ კუთხეში დანთებულ სანთლებთან უხმოდ მოქცეთინე მეუღლის დანახვით სევდაშემოყრილი, ისევ ოთახში შევბრუნდი, მაგიდას ჩემთვის მივუჯექი, ალბომი გადავფურცლე და ფიროსმანის ფოტოსურათს ჩავაჩერდი. მაგრამ ამჯერად ვერ ვეღირსე იმ ძველებურ, ჩვეულ სიმშვიდეს – დამძიმებულმა გულმა ურჩად გამრია გარეთ. ფიროსმანის ფოტოსურათზე გადაშლილი ალბომი მაგიდაზე ასევე დავტოვე, მეუღლეს შევეძრახე და გზის გადაღმა, დიდმის მასივის ტყე-პარკს მივაშურე, მაგრამ ამაოდ – ყოველი კუთხე-კუნჭულიდან ნაზამთრევი, ბუნებაში თათარიახნად ქეიფს დანატრებულთა თავდაუჭერელი ტიტყინი და ხათხათ-ყაყანი მოისმოდა! აღარ ვიცოდი, რა მექნა და სად გადავკარგულიყავი! მუხნარში ცოტა ხანს კი ვიჩერჩეტე, მაგრამ ისევ ფიროსმანის მშვიდი, აზრჩატანებული თვალების ცქერა მომეწყურა! მაშინვე შინ დავბრუნდი. შუქანთებულ, საკმლისსუნიან სამზარეულოში მეუღლე თავისთვის რაღაცას საქმიანობდა. მე მინდიკრულ ოთახში შევედი, მაგრამ შუქი არც ამინთია: ისევ გადაშლილ ალბომს დავაცქერდი და მოულოდნელობისგან შევცბი – ფიროსმანის ყოველთვის მშვიდი, ჭკვიანი თვალები ახლა რისხვით შემომცქეროდნენ!!!

შიშისაგან მუხლი მომეჭრა – მოჩვენებები ხომ არ დამეწყო, როდის იყო, ფიროსმანი თვალებს ასეთი რისხვით მაკვესებდა-მეთქი?!

ათიოდე წამით დავთრგუნულე ვიდექი. მერე შუქი ავინთე, ალბომს კარგად დავაცქერდი და მალე ყველაფერი ჭრუანტლისმომგვრელად გაირკვა.

ჩემი ტყე-პარკში წასვლის შემდეგ ალბომი მარტო დარჩენილ მეუღლესაც გადაეფურცლ-გადმოეფურცლა და სრულებით შემთხვევით ფიროსმანის „მეეზოვეზე“ გადაშლილი დარჩენოდა! ჰოდა, როგორც მე მოველოდი და მეგონა, ოთახის მინდებნდში ფიროსმანის კი არა, თურმე დეტალის სახით მთლიან გვერდზე გამოტანილ ფიროსმანის ფოტოსურათისოდენა „მეეზოვის“ სახეზე მკვესავ თვალებს დავცქეროდი!

ელვისებური თვალახელის, თავისებური აღმოჩენისა და ვარაუდის კასკადმა კანკალი მომკიდა: ვინ მეეზოვე, რომელი მეეზოვე – მეეზოვის ნომრიან ქუდსა და ძველმანებს მისნურად შეფარულ-შეფარებული დიდი მხატვრის ავტოპორტრეტი დავლანდე!!!

ქუდების სამკერვალო სახელოსნოს ნორჩი შეგირდის, ვასო ჩაჩანიძის გადმოცემით, ფიროსმან „მეეზოვე“ 1914 წლის ზაფხულში დაუხატავს.

„აი, ყველასათვის ცნობილი წვერებგაბურძგნული, თეფშის ტოლა მედალჩამოკიდებული „დვორნიკი“. ეს ხომ მირზოევის ქარვასლის მეეზოვე, იეზიდი რაშიდ ალმოევია!“

აქ პატარა წინააღმდეგობა-გაუგებრობას ვაწყდებით. ვ. ჩაჩანიძის ნაამბობში ფიროსმანის მიერ დახატულ სხვა რომელიმე „მედალჩამოკიდებულ“ მეეზოვეზეა ლაპარაკი თუ აქ დასახელებული „დვორნიკი“ და ფიროსმანის ალბომებში შეტანილი ცნობილი ნახატი „მეეზოვე“ ერთი და იგივეა, ხოლო მთხრობელს სახელწოდებები აერია ერთმანეთში და მეეზოვის ქუდზე მიმაგრებული თუნუქის ნომრიანი ჟეტონი „თეფშის ტოლა“ ჩამოკიდებულ მედლად მოეჩვენა?!

არ არის გამორიცხული, როგორც ვ. ჩაჩანიძე ირწმუნება, ფიროსმანს თავისი „მეეზოვის“ პროტოტიპად მართლაც ქარვასლის მეეზოვე ჰყავდეს გამოყვანილი. არც ის არის გასაკვირი, მხატვრის თანამედროვეებს „მეეზოვის“ სახეში სულ სხვადასხვა რეალური პიროვნებებიც ამოეცნოთ. მაგრამ ერთი კარგად დააკვირდით 1916 წელს ფოტოგრაფ ე. კლართან გადაღებულ ფიროსმანის ფოტოსურათს და მერე შეუდარეთ მხატვრის მიერ ორი წლით ადრე, 1914 წელს შექმნილ „მეეზოვეს“: ამ „მეეზოვის“ თვალები და წვერ-ულვაში ხომ მხატვრულად განცდილი და სტილიზებული ნიკო ფიროსმანაშვილის თვალები და წვერ-ულვაშია! ოღონდ თითქოს იმ ზომამდე, ეს ადვილად საცნაური არ ყოფილიყო, მაგრამ არც ისეთი განსხვავებით, რომ ამას ვერავინ ვერასოდეს ვერ მიმხვდარიყო.

ასეთ შემთხვევაში თავისთავად იბადება ერთსა და იმავე დროს მუნებრივიც და თან გულუბრყვილო კითხვაც: კი მაგრამ, თუკი ავტოპორტრეტის შექმნა სურდა, ამდგარიყო და ზუსტად საკუთარი თავი გადაეხატა – რისთვის უნდა ამოფარებოდა ვიღაცას და მით უმეტეს, ქუჩის მენაგვეს?!

პასუხი, ალბათ, მხატვრის ხასიათ-შეხედულებაში, საერთოდ, ავტოპორტრეტის შექმნის თავისებურებასა და იმდროინდელი საზოგადოების მხატვრულ გემოვნებაში უნდა ვეძებოთ.

ჩემი ვარაუდით, ფიროსმანს ასე ზევსისებურად რისხვამორეული ავტოპორტრეტი რომ გამოემზეურებინა, ეს იმჟამინდელი საზოგადოებისთვის არამცთუ სასაცილო და საქილიკო, არამედ სრულიად გაუგებარი და მიუღებელიც იქნებოდა. ამიტომ ასეთ შემთხვევაში ფიროსმანს სჭირდებოდა ისეთი ხელობის კაცი, საიმედო „ორეული“, ვისაც ამ თავის მოურიდებელ განცდებს, საზოგადოებისადმი მიმართულ უკომპრომისო პროტესტს მის პიროვნებასა და პროფესიას – ვიმეორებ, მის პიროვნებასა და პროფესიას! – ბუნებრივად შეახამებდა და როგორც შემოქმედს, ერთგვარ სულიერ სიმშვიდეს აღირსებდა.

ამბობენ, „მონა ლიზა“ ლეონარდო და ვინჩის (1452-1519) თავისებური ავტოპორტრეტიაო. რაკი ამას ხელოვნებათმცოდნეები ამტკიცებენ, ალბათ, მართალია, ოღონდ გასაკვირია: მამაკაცმა მხატვარმა რაღა მანდილოსნის პორტრეტს შეაფარა თავი, ნუთუ უფრო „ვაჟკაცური“ გზა და საშუალება ვერ გამოძებნა? მაგრამ ჩვენ ვინ გვეკითხება?! ვის შეუძლია ჩასწვდეს ხუთი საუკუნის წინ მცხოვრები გენიოსის შემოქმედებით თუ ადამიანურ წარმოდგენებსა და მოსაზრებებს? ანდა მხატვრის ამნაირ გადაწყვეტილებას რანაირი კონკრეტული შემთხვევები და მოვლენები დაედო საფუძვლად?!

იქნებ მხატვრულ ლიტერატურაშიც გადაგვეხედა?!

ოთარაანთ ქვრივი – ეს თვითონ ილია ჭავჭავაძეაო! ხოლო გუსტავ ფლობერს (1821-1880) ძალიან ჰყვარებია ამაყი განაცხადი „მადამ ბოვარი – ეს თვითონ მე ვარ!“

ვინ იცის, იქნებ ფიროსმანიც გულში ამბობდა, ვინმეს ჩამოუარაკა კიდეც ანდა რომ დასცლოდა და საამისო დრო მომწიფებულიყო, შეიძლება მასაც ამაყად განეცხადებინა „მეეზოვე“ – ეს თვითონ მე ვარ!“

ამგვარი ვარაუდი ჩემდა უნებურად თანდათან რწმენად მექცა და აქ ფიროსმანს მართლაც მხოლოდ მეეზოვის დახატვა რომ ჰქონოდა უზურში და მეტი არაფერი, მე მაინც ასე მწამს: ხატვისას ფიროსმანის ფუნჯიან ხელზე შეუმჩნევლად ღმერთსაც ევლო ხელი და მეეზოვის საფარველქვეშ თავის უკვდავ ავტოპორტრეტს ისე ახატვინებდა, რომ შთაგონებით შთანთქმული შემოქმედი თვითონ აზრზეც არ იქნებოდა!

ვგუმანობ, მოსალოდნელი ოპონენტები წეღანდელ კითხვას გამიხელახლებენ.

– კი მაგრამ, ეს გენიოსი შემოქმედი რაღა მაინცდამაინც ქუჩის მენაგვის ხატს შეეკედლა?

ჯერ ერთი, ჩვენ არ ვიცით, ფიროსმანი გრძნობდა თუ არა თავის გენიალურობას. მაგრამ მოვეშვათ ამაზე მსჯელობას, ვინაიდან ამ შემთხვევაში აქ ეს არ არის მთავარი. კეთილი და პატიოსანი! ნებისმიერ ოპონენტს ანდა რიგით მკითხველს ვთხოვ გაისიგრძეგანოს ფიროსმანის ბიოგრაფია, ბუნება, გენია, ბედ-იღბალი, ხასიათი, საქმიანობა, ხვედრი და დამისახელონ – მეეზოვეზე უფრო ბუნებრივად რომელი ხელობა-საქმიანობის კაცს შეიძლებოდა შერწყმოდა და შეზრდოდა ტანჯული მხატვრის ავტოპორტრეტი?!

ვინმეს შეუძლია წარმოიდგინოს, მაგალითად, ფიროსმანი – მიკიტანი, ფიროსმანი – სირაჯი, ფიროსმანი – ყარაჩოხელი, ფიროსმანი – პოლიციელი, ფიროსმანი – მეარღნე, ფიროსმანი – კინტო, ფიროსმანი – მედუდუკე, ფიროსმანი – მეფაეტონე, ფიროსმანი – მებორნე, ფიროსმანი – შველ-ირმებზე მონადირე, მაპატიეთ და, ფიროსმანი – ყაჩაღი ან ცხენის ქურდი, ფიროსმანი – მაყარი, ფიროსმანი – ქორწილში მოცეკვავე, ფიროსმანი – რუსეთ-იაპონიის ომის მეზღვაური, ფიროსმანი – რქებდაგრეხილი მოჭიდავე ყოჩის პატრონი, ფიროსმანი – სახედრით მიმავალი მკურნალი, შარვლის ტოტებაკარწახებული ფიროსმანი – საწნახელში ყურძნის მწურავი, ფიროსმანი – უშვილო მილიონერი, ფიროსმანი – ბანკირი, ფიროსმანი – ზარაფი, ფიროსმანი – ქალაქისთავი, ფიროსმანი – ყასაბი, ფიროსმანი – ტივზე მოქეიფე... არა და არა!

ჩემი აზრით, დიდი მხატვრის ყალმით შექმნილ უამრავ პერსონაჟთაგან ფიროსმანის ბედიღბლისთანა შემოქმედის ავტოპორტრეტის ერთადერთი ყველაზე ზედგამოჭრილი და საიმედო თავშესაფარი შეიძლება გამხდარიყო (ნებსით თუ უნებლიეთ აკი გახდა კიდეც!) მხოლოდ და მხოლოდ მეეზოვე!!!

რატომ მაინცდამაინც მეეზოვე?

იმიტომ რომ, ამქვეყნად – მით უმეტეს საქართველოს პირობებში! – ალბათ, არ მოიძებნება მეორე სხვა რომელიმე საქმიანობის კაცი, უსულგულო საზოგადოების მხრიდან ასეთ აშკარად გამოხატულ და თანაც დაუსჯელ მასშტაბურ უმადურობას რომ იმკიდეს! ახლა გინდ ფიროსმანის ეპოქა წარმოიდგინეთ, გინდ დღევანდელობას დააკვირდით – მაინც ერთმანეთის მსგავსი სურათი წარმოგვიდგება: ყოველ რიჟრაჟზე წამომდგარი, ძილგამკრთალი მეეზოვე წელში წყდება და ნაგვით მოფენილ გარემო-სამყოფელს პატიოსნად გვისუფთავებს, შეუგრძნობელ საზოგადოებას კი ჩალადაც არ უღირს პიროფლიანი, წელში წაკაკული მეეზოვის ჯაფა და ათასგვარ ნაგავს მალულად თუ ცხადად ყოველდღიურად მაინც იქა ყრიან, სადაც მისი დაყრა არ შეიძლება! ხშირად კი სხვადასხვა სართულის სარკმელ-აივნებიდან ქურდულად გადმოტყორცნილ ნაგავსა თუ ნაგვის პარკებს საწყალ მეეზოვეს პირდაპირ ზედ აყრიან!

ყოველდღე აი, ასე ერთი და იგივე მეორდება და ჯვარცმული მეეზოვის დაუფასებელი წვალება სიზიფის შრომად არის გადაქცეული!

და, აჰა: ნახატიდან საზოგადოების უსაქციელობა-უმადურობით ილაჯგაწყვეტილი, მოთმინების ფიალაავსებული და გარინდებულ-განრისხებული მეეზოვე ნიკო ფიროსმანაშვილი მოგვშტერებია!

დიახ, ფიროსმანიც ნამდვილი მეეზოვე იყო, ოღონდ არა თბილისის მოედნებისა და ქუჩა-ჩიხების, არამედ ჩვენი ზნეობისა და სინდის-ნამუსის ლაბირინთების მეეზოვე, რომელსაც უმადურად ექცეოდნენ როგორც სიცოცხლეში, ისე დღესაც.

ნურავის ნურც გააკვირვებს, ნურც განარისხებს ჩემი ამგვარი მსჯელობა.

ვიცი, მეც მესმის, ფიროსმანი რომ ცამდე ავწიეთ და გენიოსად გამოვაცხადეთ, მაგრამ რაც უფრო მთავარია, ტანჯულ ერისკაცს ანდერძს არ ვუსრულებთ!

რა არის ფიროსმანის შემოქმედებითი მემკვიდრეობის კრედო, ანდერძი და იდეალები?

უმაღლესი ჰუმანიზმი, სამშობლოსადმი თავდადება, ურთიერთსიყვარული და მიმტევებლობა, პიროვნული სიწმინდე და პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, სიკეთისადმი ერთგულება, სამართლიანობა, ერთსულოვნება, უმწეოთა და ქვრივ-ობოლთა მფარველობა, შურგაუკარებლობა, მცირედით დაკმაყოფილება...

ჩვენ? ჩვენ კი სადამდე მივიყვანეთ სამშობლო ან რა დღეშია საზოგადოებრივი და პიროვნული ურთიერთობები?!.. ეს არის ფიროსმანის შემოქმედების თაყვანისცემა და მისი იდეალებისადმი ერთგულება?!

სამწუხაროდ, ფიროსმანის მსოფლიო სახელგანთქმულობა ბევრისთვის შინ და გარეთ პროვინციული ტრაბახისა და უცხოეთში ხშირ-ხშირად გასეირნება-მოგზაურობის საშუალებაა, ხოლო მისი შედევრული ნახატების დიდი ნაწილი – ქეიფღრეობების უებარი სტიმულატორი...




მიუხედავად იმისა, კატალოგებიდან კარგად ვიცი, 1914 წელს შექმნილი „მეეზოვის“ შემდეგ ფიროსმანს კიდევ სხვა სურათებიც აქვს დახატული, „მეეზოვე“ ანუ ჩემი ვარაუდით, მხატვრის ავტოპორტრეტი მაინც ისე მნუსხავს, რომ იგი ფიროსმანის გედის სიმღერად წარმომიდგება!

გენიოს შემოქმედს თითქოს ამ თავისი „ბოლო“ ნახატის დამთავრებისთანავე დალევია საღებავები... გასთავებია მუშამბა... გასცვეთია ფუნჯი... ჩაზუტვია სიცოცხლეც! სასიკვდილო აგონიაში მყოფი ბნელი სარდაფ-ჯურღმულიდან ტანჯვა-წვალებით მაინც გამოფორთხებულა და შთამომავლობისთვის ეს ნახატ-გამოცანაც დაუზიანებლად გამოუტანია, მერე თვითონ კი თვალსა და ხელს შუა სამყაროს იქით, ავად მტოკავ ქაოსებს მიღმა გაუჩინარებულა!

დახედეთ ნახატს: მარადისობის გზაზე შემდგარი ფიროსმანი-მეეზოვე მაინც ვერ შელევია გაცვეთილი ფუნჯის ტიტველა ტარს და ეგერ, როგორც ზღვის ღმერთს, პოსეიდონს თავისი განუყრელი სამკბილა, მხატვარსაც ისეთივე თავმოწონებით მოუმარჯვებია!

საყვარელი ფუნჯი, ცრემლის მომგვრელი ჯადოსნური ფუნჯი, რომლის მსგავსი, ალბათ, არ იცის ფერწერის ისტორიამ!

„ფუნჯიო?! ეგ რანაირი ფუნჯია, – გაუკვირდებათ, – ეს ხომ მენაგვის რაღაც კეტი თუ ცოცხის ტარია?!“

ჰმ! ფიროსმანის მოუღლელ მარჯვენასა და ჩანაფიქრს რას გაუძლებდა ხარისხოვან ევროპულ ტილოზე ფაქიზად მოსრიალ-მონარნარე ნაზი ფუნჯები – ის ხომ ხშირად თავისივე ფეხით ერთმანეთში შესრესილი კირითა და ჭვარტლით ხატავდა უხეშ თუნუქზე, ხეშეშ მუშამბაზე, დაშაშრულ მუყაოზე, ფოლადივით მოწკრიალე ქართული აგურით ნაშენებ თბილისის დუქან-სარდაფთა ოღროჩოღრო კედლებზე! ამიტომ გეჩვენებათ, რომ ტრადიციული სათუთი ფუნჯის ნაცვლად ფიროსმანსაც შოროქნის ვეებერთელა გამძლე ცოცხი ეჭირა და სწორედ იმით ქმნიდა თავის განუმეორებელ მხატვრულ სამყაროს!

„მეეზოვე“ ფიროსმანის შემოქმედების ერთ-ერთი უპირველესი მწვერვალთაგანია. ამ სურათს რომ დავცქერი, ზოგჯერ მეჩვენება: თავის დიდოსტატობაში დარწმუნებული ხელოვანი ამ შედევრს თითქოს თვალხუჭელა ხატავდა!

ფერების რაოდენობა აშკარად მინიმალურია, მაგრამ სამაგიეროდ მეტყველი, მაძღარი, მკვრივი, გულახდილი, ერთმანეთთან ძარღვიანად შეკავშირებული, დამაჯერებელი. მთლიანი სურათი, განსაკუთრებით კი ემოციურ-ტრაგიკული სახე და წვერ-ულვაში თითქოს მაცდური აზრისკენაც კი გვიბიძგებს: აქ მთავარ როლს ფუნჯი ასრულებს და არა მხატვრის ტალანტი, თუმცა ეს ერთი და იგივეა! მართლაც, ფიროსმანის სხვა სურათებისგან განსხვავებით ამ ნახატზე ფუნჯის მონასმი უფრო დინამიკურ-დრამატულია, მკვეთრი, გამომწვევი – ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ფერმწერს ფუნჯის მაგიერ ხელგაწაფული მლესავის წვერმახვილი ლაპლაპა ქაფჩა ეჭიროს და ელვისებური მისმა-მოსმით სასურველ მოყვანილობასა და მიმართულებას აძლევდეს პერსონაჟის წვერ-ულვაშს! ამას კი მთლიანი ნახატი ქანდაკისებურ მონუმენტურობაში გადაჰყავს და ადვილად ემსგავსება ოგიუსტ როდენის (1840-1917) მიერ 1893-97 წლებში შექმნილ ონორე დე ბალზაკის (1799-1850) ძეგლს, რომლის ღირსებას მაშინვე ვერ ჩასწვდნენ და მხოლოდ 1939 წელს დაიდგა პარიზში! თუმცა „მეეზოვის“ გაქვავებულ ფიგურას განსაცვიფრებელ დინამიკურობას ანიჭებს დრამატიზმით დამუხტული სახისმეტყველება.

ჰიპნოზურად მოჩერებული თვალები და გაბურძგნული წვერ-ულვაში პერსონაჟის მარადიულ საწუხარზე მეტყველებს, ხოლო ყურებთან გამოჩრილი და ავბედითად გაწეწილი თმის ნაშალი – მის გონებაში ქარიშხლისებურად მობობოქრე ვნებათაღელვაზე. ამიტომ მუზარადს დამსგავსებული ეს მკვიდრი, მკვესავ თვალებამდე ჩამოფხატული ფორმის ქუდი ზღვრამდე გახურებული მარტენის ღუმელზე შემოკრულ ფოლადის სალტეს ემსგავსება.

და რაც ყველაზე მთავარი, გასაკვირი და შესასწავლია, არა მარტო ამ ნახატში, არამედ საერთოდ, ფიროსმანის მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან პერსონაჟთა შორის აქ მხატვრული განცდა და ემოცია რაღაც შექსპირულად ზღვარდაუდებელი, გულახდილი, გამომწვევი, თუ გნებავთ... თუ გენებავთ კი არა, ასეა – აგრესიული და დამთავრებულ-დაზუსტებულია!!!

დასცქერი ნახატს და ვეღარ გარკვეულხარ: ეს მართლა ვიღაც ბეჩავი მეეზოვეა, ზევსი, სამკბილამომარჯვებულ პოსეიდონს მიმსგავსებული ხმელეთის მბრძანებელი თუ... თვითონ ფიროსმანი?!

ნახატზე მართლა ერთი ჩვეულებრივი თბილისელი მეეზოვეა გამოსახული?! კეთილი, მეც ვირწმუნებ მის მეეზოვეობას, მაგრამ ერთი ამიხსენით: ვინ ბრძანდება ვიღაც უბრალო მეეზოვე, რა აღდგომის წითელი კვერცხია ქუჩის ბეჩავი მენაგვე, ასეთი მბრძანებლური პოზით რომ წამოგვდგომია თავზე და რისხვამორეული ზევსის ცეცხლის ჩამომკვესებელი თვალებით გვიცქერის და გვახევებს?!

რა მოუზარებია ჩვენთვის, რას გვედავება?.. ან რა დავაშავეთ და რას ითხოვს ჩვენგან?

მხატვრის თანამედროვეები ერთ რამეში ხაზგასმულად ერთსულოვნები არიან: საწყალი ნიკალა ძალიან კეთილი, წესიერი, პატიოსანი, მორცხვი, მორიდებული, დამთმობი, უწყინარი და უბოროტო იყო, მისგან რაიმე წყენა და ვნება არ გვახსოვსო.

ეს მეც მჯერა და ამას სადისკუსიოდ არა ვხდი, მაგრამ ბუნებით მართლა ასეთიც რომ არ ყოფილიყო, აბა, მეტი რა ჩარა ექნებოდა, სხვანაირად როგორ მოიქცეოდა უსახლკარო, ულუკმაპურო, ღატაკ-ეული, როცა ამ თავისი გარემოცვის იქით სხვა გზა არ ჰქონდა?!

აქ ერთ რამეში უნდა გავერკვეთ: თანამედროვეთა მიერ „საწყალი ნიკალას“ ის ერთსულოვნად ერთნაირი, სწორი და ეჭვშეუტანელი დახასიათება ამ უკანასკნელის მხოლოდ პიროვნული, რიგით ადამიანებთან ყოველდღიურად საურთიერთო ყოფითი დახასიათებაა, მაგრამ მაშინ ვინ მოვიდოდა აზრზე ან ეს ვის რაში სჭირდებოდა ანდა ვინ შეძლებდა განეჭვრიტა, რას ითმენდა და რანაირი განცდა-ვნებები თუხთუხებდა ნიკო ფიროსმანაშვილის, როგორც დიდი შემოქმედის გულსა და გონებაში, რომელიც ვულკანისებურ ამოხეთქვა-გადმოღვრას ითხოვდა!!!

ეს ვულკანისებური ამოფრქვევა მომხდარა კიდეც „მეეზოვეში“ შემთხვევით თუ განგების ნებით გაცხადებული ფიროსმანის ავტოპორტრეტის სახით!

ეს ნახატი მუდამ მსოფლიო ხალხთა სხვადასხვა ზღაპარს მახსენებს. ცოდვით სავსე თავის საუფლოში, დედამიწაზე სიმართლის გასაგებად ღმერთი ზოგჯერ მათხოვრის ძველმანებს რომ გადაიცვამს ხოლმე კარდაკარ სასიარულოდ, საქართველოს ძნელბედობის ამბით აფორიაქებული ფიროსმანიც თითქოს მეეზოვესავით გამოწყობილა და შორეული ქაოსებიდან ისევ მოგვსვლია თვალდასაკრავად. მაგრამ ეს მხოლოდ ზერელე წარმოდგენაა! ის არასოდეს არსად არ წასულა – „მარად და ყველგან“ ჩვენ გვერდით იყო და იქნება! ოღონდ ეგაა, ვის როდის ეხილება გონების თვალი და ამას ვინ როგორ იგრძნობს!

და, აჰა: საქართველოს უბედურებითა და ჩვენი საყოველთაო უსაქციელობით გაოგნებული მეეზოვე-ფიროსმანი ღმერთივით შემოგვყურებს და მის თვალებში ჩაგუბებული რისხვა-ვედრება ქუხილიან ჩურჩულივით აღიქმება.

– სამშობლოს ასე რატომ ექცევით?!

***დიდი** ხანი არ არის, რაც BBC-ის ინფორმაციით ქვეყნიერებას ამცნეს სომხეთში მომხდარი დიდი აღმოჩენა (ამავდროულად, ამ აღმოჩენაზე გადასცემ-და ინფორმაციას National Geographic): ერევნის სამხრეთით, 100 კილომეტრით დაშორებულ სოფელ არენის მახლობლად, გამოქვაბულში კარგად შენახული ტყავის ქალამანი, საწნახელი, ღვინის შესანახი თიხის ჭურჭელი და ყურძნის წიპწები უპოვიათ. თიხის ჭურჭელზე აღმოუჩენიათ მალვიდინის დამადასტურებელი კვალიც, რაც პირდაპირ მიანიშნებს, რომ ნაპოვნ საწნახელში, იმ ტყავის ქალამანს ჩაიცვამდა ძველისძველი სომეხი და ყურძენს წურავდა,რომლისგანაც წითელი ღვინო დგებოდა...*

*ამ ერთობ დელიკატურ საკითხზე პირუთვნელი აზრის გამოსათქმელად ვეწვიეთ ქართული ღვინის ხარისხისა და ტრადიციების დამცველი კომპანიის — „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ უხუცესთა საბჭოს წევრებს, კომპანიის გენერალურ დირექტორს ბატონ **ზურაბ ჩხაიძეს**, უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარეს პროფესორ **თამაზ ტყემალაძეს**, ცნობილ ისტორიკოს-ეთნოლოგს, პროფესორ **ელდარ ნადირაძეს**.*

# ახლა უკვე ღვინოც ღაღადებს!

## ისევ საფერავზე და სხვა ავზე



**— ბატონო თამაზ, ალბათ უმჯობესია, ჯერ თქვენ ჩააყენოთ საქმის კურსში ჩვენი მკითხველი, თუ როგორ მიიღო მსოფლიო მეცნიერებამ საქართველოს ახლო მეზობელთა ეს არქეოლოგიური მონაპოვარი.**

**თ. ტყემალაძე** — დიდი ჩოჩქოლი არ გამოუწვევია. ამ აღმოჩენის თავკაცმა, არქეოლოგმა გრეგორი არეშიანმა პრესაში განმარტა, მსგავსი რამ ჯერ არსად აღმოჩენილა და ეს გახლავთ ღვინის წარმოების უძველესი და რეალური მტკიცებულებაო.ჩვენმა მეცნიერებმა, მეღვინეებმაც გამოთქვეს თავიანთი შეხედულება ამ მორიგი „სენსაციის“ შესახებ, მაგრამ ვიდრე ამას გეტყოდეთ ურიგო არ იქნება ჩვენს მკითხველს დროზე ვაუწყოთ, თუ რა კავშირშია ეს აღმოჩენა ქართული ყურძნის ძველთაძველ ჯიშთან — „საფერავთან“.

**— ჩვენც სწორედ ამიტომ გესტუმრეთ... საინტერესოა, „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ კომპანიის ხელმძღვანელმა და კომპანიასთან არსებულმა უხუცესთა საბჭომ როგორ მიიღეს ისტორიული მეზობლის მცდელობა — ჩვენი საფერავი „სომხურად გადაენათლათ“.**

**ზ. ჩხაიძე** — ამ სომხური მარნის აღმოჩენას წინ ბევრი ისეთი მოვლენა უსწრებს, რაც სომეხ მეცნიერთა ერთი ნაწილის, ე.წ. „მეცნიერულ დასკვნებს“ დაედო საფუძვლად. სომხები სოფელ არენის მახლობლად აღმოჩენილ მარანს მსოფლიოში უძველეს ღვინის საწარმოდ ნათლავენ და 6100 წლით ათარიღებენ.არავითარი სურვილი არა მაქვს ამაში ეჭვი შევიტანო. მსოფლიო მეცნიერები თავიანთ მოსაზრებებს, იმედია, გვეტყვიან.

ჩვენში აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთმტკიცებანი 7500-8000 წლის წინანდელია, რაც შესწავლილი და დადასტურებულია მსოფლიოს მეცნიერთა მიერ.ეს ნეოლითის ხანაა.აღმოჩენილი თიხის ჭურჭელზე ყურძნის მტევნები იკითხება. სწორედ ამ დოქში აღმოჩნდა იმავე დროის ყურძნის წიპწები. აქვეა მიკვლეული ვაზის ყვავილის მტვერიც. ამას არც სომხები გვედავებიან.



ზურაბ ჩხაიძე



თამაზ ტყემალაძე



ელდარ ნადირაძე

**თ.ტყემალაძე** — მაშასადამე, სომხები ჯერ ქმნიან რაღაც აბსურდს, რომელსაც მერე ეყრდნობიან და ზედ მორიგ ზღაპარს აგებენ.აი, მაგალითად, პეტერბურგელი პოლიტოლოგი და ჟურნალისტი ოლეგ მაქსიმენკო (სომეხი ქალბატონის მეუღლე), მოყვარე ერს დიდ ნაშრომს უძღვნის სათაურით „Армянскии Коняк“. ესაა ძალზე ვრცელი და ტენდენციური ისტორია ე.წ. „სომხური კონიაკისა“, სადაც მრავალჯერ ახსენებს საქართველოს და ყოველთვის მცდარი, ჩვენთვის მიუღებელი ფაქტებით... სამაგიეროდ, არსად ამბობს, რომ ერევნის კონიაკის ქარხანა ქართველმა **დავით სარაჯიშვილმა** დაარსა. ის წერს, რომ სომხეთის მიწაზე მოყვანილი „რქაწითელი“ და „საფერავი“ უფრო მაღალი ხარისხისაა, ვიდრე ქართულ მიწაზე მოწეული... ამ აბსურდს კი წინაპირობად იღებს „ცრუ მეცნიერთა“ ლიდერი, ერევნის კონიაკის ქარხნის ხელმძღვანელი **არა ოვანესიანი** და ავტორიტეტული ტონით (როგორც სჩვევიათ) უკვე გამოყოფს, „Саперав“ и „Армянскии Саперав“. ასე გაჩნდება „სომხური საფერავი“, პატივცემული **არა** საქმის ზედმიწევნით მცოდნის პოზიციიდან ასე გაამყარებს სიძე კაცის, ოლეგ მაქსიმენკოს ზემოთ ნათქვამს: „არმიანსკი“ საფერავი და რქაწითელი ქართულს აჯობებს, აბა რა იქნება? — ჩვენში 300 მზიანი დღეა, საქართველოში რაღაც 180-200. ჩვენი ჰაერი ასე სუფთა და ეკოლოგიურია, ამიტომაც ბევრად სჯობს ქართულ ნესტიან კლიმატს. თანაც საქართველო ხომ ძალზე რადიაციულია და ა.შ. და ა.შ. აი, ასე ნელ-ნელა იკვეთება „სომხური საფერავი“ და თან ქართველებისაზე ბევრად უკეთესი თვისებებისა.ეს ახალი სენსაციური აღმოჩენაც „მსოფლიოში პირველი ღვინის მარნისა“ სწორედ ამ ვირტუალური „სომხური საფერავის“ არსებობას ამყარებს, რადგან აქ თითქოს ისეთი სეგმენტის კვალიც აღმოჩენილა, როგორიცაა მალვიდინი. ეს იმის დასტურია, რომ ძველ საწნახელში წითელი ღვინის ყურძენს წურავდნენ და ეს საფერავი იქნებოდა, აბა რა!

**— ჩვენს მეცნიერებზე, სპეციალისტებზე გინდოდათ გეთქვათ...**

**ზ. ჩხაიძე** — საფერავის სომხურად წარმოსახვის შესახებ რამდენიმე მშვენიერი წერილი დაბეჭდა გაზეთმა „მარანმა“. ბატონმა იულონ გაგოშიძემ მეცნიერული მსჯელობით სომეხთა „აღმოჩენა“ აბსურდამდე დაიყვანა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის იურისტი, ბ-ნი ა. ასლანიშვილი საფრანგეთის ბაზარზე დაფიქსირებულ ე.წ. „სომხური საფერავის“ ასეთი სახელწოდების ბრენდის შესახებ მკაფიო განმარტებას აძლევს რადიო „თავისუფლებას“. ერთი სიტყვით, ამ მოვლენას თავისი პასუხი გაეცა.

**— მაინც როგორ ათარიღებენ ამ ახალ აღმოჩენას ჩვენი მეზობლები?**

**ზ. ჩხაიძე** — ამაზე ბატონი ელდარ ნადირაძე გვიპასუხებს, რომელმაც ნამდვილად გაგვახარა „ქართული ლუდის“ შესახებ დაწერილი წიგნით.

**— გეთანხმებით. ჩვენც ვიყავით ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში იმ დღეს... ბატონო ელდარ, მოდით შევადაროთ ჩვენს მიწაზე, ხრამის დიდ გორზე აღმოჩენილი სამამულო მეღვინეობის დამადასტურებელი უძველესი აღმოჩენა.**

**ელ.ნადირაძე** — სიამოვნებით. როგორც ვხედავთ განსხვავება ჩვენი და სომეხი მეცნიერების მიერ არქეოლოგიურ ნივთმტკიცებებს შორის 2000 წელია — სომეხთა ამ ჯგუფს ერთი სურვილი ამოძრავებს — როგორმე მსოფლიოში ასე ცნობილ „საფერავს“ სომხურ მიწაზე მიუჩინონ სამკვიდრებელი. ქ-ნ ნ. ახალოურის სტატიაში ამოვიკითხე, რომ სომხეთის მეღვინეთა კავშირის თავმჯდომარეს, **ავაგ არუთინიანს** კიდევ უფრო გაუღრმავებია **არა ოვანესიანის** აზრი... ის ხომ გვერდი-გვერდ წარმოსახავდა „ქართულ საფერავს“ და „სომხურ საფერავს“. ამ უკანასკნელს მეტი სურვილი გასჩენია და აცხადებს: რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ სომხეთია „საფერავის“ სამშობლო და არა საქართველო... აი, ასეა... შექმნეს აბსურდული მითი და ზედ ქაღალდის კოშკი ააგეს. თუმცა, ყველამ კარგად ვიცით, რომ მათი ამგვარი მცდელობანი არ ახალია...

**— დიდი ილიას „ქვათა ღაღადი“ გაქვთ ალბათ მხედველობაში.**

**ელ.ნადირაძე** — რა თქმა უნდა... ილიამ კლასიკური მაგალითი მოგვცა ცრუ სომეხ მეცნიერთა წინააღმდეგ მიმართული პოლემიკისა. მის გვერდით დადგნენ აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი და ბევრი სხვა ქართველი მამულიშვილი, მაგრამ ეს ნაციონალური სულისკვეთების კონფლიქტები მართლაც უხსოვარი ხანიდან იწყება. ორიოდ სიტყვით როგორ ვთქვათ? — აი, მითიური დიდი სომხეთი რომაელთა მიერ დაინგრა ... ამ დიდ „სომხეთში“ თითქმის ნახევარი — საქართველოს ტერიტორია ყოფილა... ამაზრზენია ყალბისმქნელების შედგენილი ეგრეთ წოდებული „დიდი სომხეთის“ რუკები. ტაო-კლარჯეთი,ქართლი, ცხადია თბილისიც სომხეთის ნაწილი ყოფილა... დაბეჩავებულ ქართველებს ტიგრან I-ის ვაჟი ვაჰაგანი ღმერთად გამოუცხადებიათ და მისი ქანდაკების წინ ტიროდნენ და ლოცულობდნენო... წინასწარგამიზნული სიცრუით გამორჩეულმა კორიუნმა, აგათანგელოსმა, ბუზანდმა და მოვსეს ხორანეცმა ხომ მთლად „შეუბერეს“ და შეთითხნეს მითი, თითქოს ქართული ასომთავრული ანბანი მეუდაბნოე სომეხმა ბერმა მესროპ მაშთოცმა შექმნა, სულ რაღაც სამ დღეში! თანაც, ქართული საერთოდ არ იცოდაო....

**ზ. ჩხაიძე** — თუ შეიძლება, მეც დავამატებ (მაგიდიდან ერთ წიგნს იღებს). აი, ეს წიგნი სამი წლის წინათ თურქეთში, მივლინებისას გარდაცვლილ პიროვნებას და მეცნიერს, ბატონ დევი ბერძენიშვილს ეკუთვნის... სასურველია ამ წიგნს ყველა გაეცნოს.

**ელ. ნადირაძე** — დღეს უკვე ეჭვს აღარ იწვევს, რომ ლუდის სამშობლო, ძველი ცივილიზაციის აკვანი-შუამდინარეთია. ორიენტალისტმა სამუელ კრამერმა შუმერში წერილობითი ძეგლის ნაშთებსაც მიაკვლია... შუამდინარეთში ლუდის დამზადების კულტურა მესამე ათასწლეულში უკვე ისე იყო განვითარებული, რომ იმჟამინდელ მესოპოტამიელი მიწათმოქმედები ქერისა და ასლისაგან რამდენიმე, განსხვავებული ფერის და გემოს ლუდს აყენებდნენ... ცნობილი მეცნიერის ჰუბერის აზრით, შუამდინარეთში მეოთხე ათასწლეულშიც აყენებდნენ ლუდს... რაც შეეხება სომხებს, მათ, როგორც ამ მიწაზე მოსულებმა, ურარტუელებისგან მემკვიდრეობად ბევრი რამ მიიღეს, მათ შორის ლუდის დადუღების ტექნოლოგიაც. კავკასიის ხალხები თითქმის ერთდროულად ინტერესდებიან ამ სასიამოვნო სითხის სმით. რაც შეეხება მამულოვის სურვილს ლუდის სამშობლოდ სომხეთი მივიჩნიოთო, ეს მხოლოდ ღიმილს იწვევს. ვერც ღვინის და საფერავის სამშობლოდ მივიჩნევთ ჩვენს მეზობლებს.

**— ბატონო თამაზ, თქვენ რას დაამატებდით?**

**თ. ტყემალაძე** — ცრუ მეცნიერთა აღტკინება თითქმის მინავლებული იყო, როდესაც რუსეთმა კვლავ გამოიყენა სომხების ასეთი ბუნება და მისი წაქეზებით ბევრი უკეთური რამ მოხდა. ჯერ ერთი, 1828 წელს ჩვენი ჯავახეთი სპარსეთ-თურქეთიდან გადმოყვანილი ლტოლვილი სომხებით აივსო და ამით იქაური ქართველობა უმცირესობაში მოექცა. რუსეთის დიდი სურვილი იყო მთელი კავკასიის გასომხება (პეტრე პირველის იდეა!) მხოლოდ ასე თუ დავიპყრობთ კავკასიასო. როგორც ვხედავთ, ეს პროცესი ახლაც ნაწილობრივ გრძელდება. სომხები ისევ რუსეთის მზეს იფიცებენ. ჩვენი გაზეთის მკითხველს ვთხოვთ, წაიკითხოს ბატონ გურამ მაისურაძის, ბონდო არველაძის, ნიკოლოზ ჯანაშიას, ქ-ნ ელენე ცაგარეიშვილის,დავით მუსხელიშვილის, დევი ბერძენიშვილის, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ქართულ-სომხურ თემაზე დაწერილი წიგნები... კარგი გაძლება მოგცეთ ღმერთმა!

**— იქნებ ყველაფერი დვინის და ქალკედონიის კრებებიდან იწყება.**

**თ. ტყემალაძე** — დიახ, დიდი ნაწილი ისტორიული შეუთავსებლობისა სწორედ რელიგიის სფეროს ეხება. აი,ნახეთ კავკასიის ხალხებში (და განა მარტო კავკასიის?) პირველობის მოსურნე ისტორიკოსმა აგათანგელოზმა, როდესაც შეიცნო, რომ დიდი ავტორიტეტისაა ქვეყანა, სადაც ქრისტეს რჯული, თვით ქრისტეს მოწაფემ იქადაგა, შექმნა მითი როგორ იქადაგა მხოლოდ სომხებისთვის თავისი მრწამსი ქრისტე ღმერთმა.

**— ამ მცირე საგაზეთო დიალოგით ერთობ მძიმედ აღსაქმელი სურათი დაიხატა.**

**ე. ნადირაძე** — დიახ, გასაოცარია ნამდვილად... აგერ, ბატონ ბონდო არველაძის წიგნი... 650 ეკლესია ავაგეთ სომხებმა დღევანდელ საქართველოს მიწაზეო.... სომხური ეკლესიები როგორ არ არის ტოლერანტობით განთქმულ საქართველოში... ჩვენ უთვისტომო ხიზნებს არას ვუშლიდით, მაგრამ მსგავსი უმადურობა უნახავს ვინმეს?

**თ. ტყემალაძე** — მაშინაც კი, როდესაც რუსეთის აგენტურა ფარულად ჩვენს წინააღმდეგ მომართავდა ხიზან სომხებს, უამრავი სომეხი ნამდვილად შეყვარებული იყო ჩვენ ქვეყანაზე,დედაქალაქზე. სომეხი მწერლები ამას თავისი ნაწერებით გამოხატავდნენ. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ახალი სომხური მწერლობის ფუძემდებლები: ხაჩატურ აბოვიანი და გაბრიელ სუნდუკიანცი. აგრეთვე ოვანეს თუმანიანი, რომელსაც აკაკიმ ასეთი სტრიქონები უძღვნა:

**„შენ სომეხი ხარ, მე კი ქართველი**
**მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა,**
**ორივე შვილი ერთი მიდამოს**
**ერთი მიწა-წყლის და ერთი მთისა“.**

საქართველოს, ქართველი წინაპრების სიყვარულითაა გაჯერებული თბილისში მცხოვრები აშუღების პოეზიაც...

**— ასე კი ცოტა ჩამოთბა... მართლაც რა გვაქვს გასაყოფი...**

**ზ. ჩხაიძე** — მე დარწმუნებული ვარ, რომ „საფერავს“, იმის მიუხედავად, რომ ეს ჯიში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებშიც მოაშენეს, სხვა სამშობლო არსად ექნება საქართველოს გარდა, მადლობა ღმერთს, რომ ყველა ზოგიერთი სომეხივით არ ფიქრობს. ზემოთნახსენებ მოვსეს ხორანეცის და იმის მსგავს ისტორიის გამყალბებლებს, თანამედროვე სომეხმა მეცნიერებმა „თავისებური სომხური პატრიოტები“ უწოდეს.

**— სადღეისოდ ეს ვიკმაროთ, გმადლობთ გულახდილი დიალოგისთვის.**

ესაუბრა
**სპარტაკ ქობულია**

***რედაქციისაგან:** ამ საკითხზე — ცალკეულ სომეხთა მიერ „საფერავის“ თუ სხვა ქართული ღვინოების, აგრეთვე ბევრი ტრადიციული ქართული პროდუქტის მისაკუთრების მცდელობის თაობაზე — ჩვენი გაზეთი წლეულს რამდენჯერმე წერდა. მალე კი თვით სომხურ ოფიციალურ წყაროებსა და დოკუმენტზე დაყრდნობით, გამოვაქვეყნებთ მასალას იმის თაობაზე, რომ „საფერავი“ სწორედ საქართველოდან გავრცელდა სომხეთში.*

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სადავო საზღვარზე ორი დაჭრილია

**საქართველომ განაცხადა, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალების სამხედროებმა, რომლებიც განლაგებული არიან სამხრეთი ოსეთის ტერიტორიაზე, დაჭრეს ორი ქართველი მოქალაქე. ეს 2009 წლის მარტიდან პირველი ამგვარი შემთხვევაა, სროლა მოხდა ამ სეპარატისტულად განწყობილი რეგიონის საზღვარზე. ნათქვამია, რომ ერთ-ერთი დაზარალებული 17 წლისაა.**

ცეცხლი გაიხსნა მას შემდეგ, რაც რუსეთის სამხედროები ცდილობდნენ, დაეკავებინათ ხუთი ახალგაზრდა მეზობელი ქართული სოფლიდან. მთავრობის განცხადებაში, რომელიც ხუთშაბათს ელექტრონული ფოსტით გავრცელდა, ნათქვამია, რომ ახალგაზრდები აპირებდნენ საჭმელი მცენარეების (ჯონჯოლის) შეგროვებას. ამ განცხადების თანახმად, საქართველოს კიდევ ოთხი მოქალაქე „უკანონოდ დააკავეს“.

სამხრეთი ოსეთის ვერსიით, საქართველოს მოქალაქეთა ჯგუფმა უკანონოდ გადაკვეთა მათი საზღვარი, და ყველა ისინი დააკავეს – ინფორმაცია ამის შესახებ გაჩნდა ოთხშაბათს ყოველდღიური ახალი ამბების ონლაინ გამოცემის „ჯორჯიან დეილის“ საიტზე, რომელიც ბაზირებულია ნიუ-იორკში. გამოცემას მოჰყავს რეგიონის უშიშროების სამსახურის განცხადების ციტატა. უცნობებმა ცეცხლი გაუხსნეს სამხრეთოსეთელ მესაზღვრეებს, ცდილობდნენ გაეთავისუფლებინათ დაკავებულები, ნათქვამია საიტზე და იქვე არის დამატებული, რომ გაიხსნა საპასუხო ცეცხლი.

რუსეთმა 2008 წლის აგვისტოში სამხრეთი ოსეთისთვის გაჩაღებული ხუთდღიანი ომი მოიგო, ეს რეგიონი აღიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და დათანხმდა დაიცვას მისი საზღვრები, მაშინ, როდესაც საქართველო სამხრეთ ოსეთს ძველებურად მიიჩნევს მის განკარგულებაში მყოფ ტერიტორიად. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამხრეთი ოსეთის განცხადება ეჭვქვეშ დააყენა, ამტკიცებს, რომ საქართველოს მხრიდან არანაირი სროლა არ ყოფილა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა ია მახარაშვილმა განაცხადა, რომ მომხდარის შესახებ ინფორმირებულია ევროკავშირის მონიტორინგის მისია და ის წარმომადგენლები გაგზავნილი არიან ვითარების გამოსაკვლევად. საქართველოს სამხრეთი ოსეთი პირდაპირ ამ მოვლენების გამო არ დაკავშირებია, აღნიშნა მან.

„ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მხარეს, გამოიჩინონ თავშეკავება ამ ინციდენტთან დაკავშირებით, ყველა წვრილმანის შესახებ აცნობონ მონიტორინგის მისიას და რაც შეიძლება მალე მოხდეს სამუშაო ჯგუფის შეხვედრა ინციდენტის თავიდან აცილებისა და გადაჭრის მიზნით“, – ასეთი მოწოდება გაისმა ოთხშაბათს საქართველოში ამერიკის საელჩოს საიტის გვერდებიდან. „ეს ინციდენტი მიუთითებს ჯერ კიდევ არსებულ აუცილებლობაზე იმასთან დაკავშირებით, რომ მონიტორინგის მისიას შეეძლოს მუშაობა საზღვრის ორივე მხარეს“.

Bloomberg

# რუსეთი საქართველოსთან კავშირის გამო ყაზახეთზე ზემოქმედებს

**ყაზახეთი საბაჟო კავშირში „რუსეთი-ბელარუსი-ყაზახეთი“ თავს შევიწროვებულ მდგომარეობაში გრძნობს კრემლის მუდმივი მცდელობის გამო – გახადოს ეს სტრუქტურა პოლიტიზირებული, რომელიც თავდაპირველად შეიქმნა სავაჭრო ურთიერთობათა განმტკიცებისთვის და მოქალაქეთა, საქონლისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილებისთვის საბაჟო კავშირის შიგნით.**

ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელმა გრიგორი ონიშჩენკომ მოუწოდა ყაზახეთს, აკრძალოს ღვინისა და უალკოჰოლო სასმელების იმპორტი საქართველოდან. ონიშჩენკომ, რომელიც მოუხერხებლად ამართლებდა თავის განცხადებას, განაცხადა, რომ ქართული ღვინოები არ შეესაბამება ხარისხის სტანდარტებს და რომ აკრძალვა აუცილებელია საბაჟო კავშირის სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფისთვის.

ონიშჩენკოს განცხადებამ უკმაყოფილება გამოიწვია როგორც ყაზახეთში, ისე საქართველოში. ყაზახეთის ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის სამინისტრომ განაცხადა, რომ ეს საკითხი განხილული უნდა იქნეს მხოლოდ და მხოლოდ მრავალმხრივი მოლაპარაკების შემდეგ. ყაზახი ექსპერტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ყოველივე ამის უკან პოლიტიკა დგას.

საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მოჰყავთ „ყაზალკოს“ ღვინის ვაჭრობის ასოციაციის დირექტორის ამირჟან კალიევის სიტყვების ციტატა, რომელშიც ნათქვამია, რომ აღნიშნული აკრძალვა ეწინააღმდეგება ყაზახეთის ეკონომიკურ ინტერესებს, ხოლო ქართული ღვინისა და მინერალური წყლების იმპორტი არ არის საბაჟო კავშირის წესების დარღვევა. უფრო მეტიც, ყაზახეთს არ აქვს განზრახული მოახდინოს ქართული ალკოჰოლური სასმელების რეექსპორტირება მესამე ქვეყნებში.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ რუსეთის ზოგიერთი წყარო აჩქარდა, ივარაუდოს, რომ ონიშჩენკოს სიტყვები იყო, სამწუხაროდ, არასწორად განმარტებული ყაზახეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ. მაგრამ ეს „მწუხარება და ბოდიშის მოხდა“ გაჩნდა იმ მომენტში, როდესაც თავად რუსეთს განზრახული აქვს თანდათანობით მოხსნას აკრძალვა ქართული მინერალური წყლების შემოტანაზე რუსეთის ბაზრებზე.

შემოსავლები ღვინის ვაჭრობით ყაზახეთის ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს აყალიბებს. უკანასკნელ წლებში ქვეყანა ზომიერი აპეტიტებით ალკოჰოლური სასმელებისადმი სწრაფად გადავიდა უფრო ძლიერი ალკოჰოლური სასმელებიდან ნაკლებად ძლიერი ალკოჰოლური სასმელების მოხმარებაზე, რომელთა იმპორტირებაც ხდება საქართველოდან. ეს ქვეყანა ყაზახეთში უკრაინის შემდეგ ღვინის მეორე უდიდესი მიმწოდებელია.




ყაზახეთის ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო კომიტეტის მონაცემებით, 2010 წელს ეროვნულ ბიუჯეტში შემოვიდა 12 მილიარდი ტენგე (82,94 მილიონი ამერიკული დოლარი) ღვინით ვაჭრობაზე სააქციზო გადასახადების სახით. 2011 წლის პირველ კვარტალში ამ ციფრმა შეადგინა 3,31 მილიარდი ტენგე (22,71 მილიონი ამერიკული დოლარი). შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ვაჭრობის მოცულობამ 180,3 პროცენტი შეადგინა.

ყაზახეთს ტრადიციულად სუსტი ღვინის მრეწველობა აქვს, იგი მიესალმება უცხოურ ინვესტიციებს მომგებიანი ღვინის ბიზნესის გაფართოებისთვის. 1997 წლიდან ყაზახეთის ლუდის ბაზარზე ბატონობდა ორი ჰოლდინგი. ყაზახეთში ღვინის ბაზრებზე დასავლური კომპანიების „შემოჭრა“ აშფოთებს რუსეთის ღვინის მწარმოებლებს.

მაგრამ კრემლის მცდელობას, აიძულოს ყაზახეთი, შემოიღოს აკრძალვა ქართული ღვინის იმპორტზე, აქვს უფრო მეტად პოლიტიკური ქვეტექსტი. რუსეთმა ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების შემოტანა საქართველოდან აკრძალა საქართველოსთან 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. თბილისსა და მოსკოვს შორის სამხედრო კონფლიქტამდე ყაზახეთი ერთ-ერთი უდიდესი ინვესტორი იყო ქართულ ეკონომიკაში. ყაზახეთის ეროვნულმა ენერგეტიკულმა კომპანიამ „ყაზმუნაიგაზმა“ თავისი კონტროლის ქვეშ აიყვანა თბილისში გაზის გავრცელების სისტემა და შექმნა ერთობლივი საწარმო „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ თავის ქართველ პარტნიორებთან ერთად. 2008 წლის თებერვალში ნავთობის ტრანსპორტირების კომპანიამ „ყაზტრანს ოილმა“ თავის ხელში აიღო ბათუმის ნავსადგურის მართვა. ყაზახეთის ისეთმა უდიდესმა ბანკებმა, როგორებიცაა „ბტა“ და „ხალიკ ბანკი“, გახსნეს თავიანთი ფილიალები საქართველოში. როგორც ქართული წყაროები იტყობინებიან, ორმხრივი ვაჭრობის მოცულობამ ყაზახეთთან 2010 წელს შეადგინა 139,6 მილიონი ამერიკული დოლარი – თითქმის სამჯერ მეტი, ვიდრე 2009 წელს. მაგრამ ბევრი ადრე დაგეგმილი პროექტი, განსაკუთრებით რომლებიც შეეხებოდა ყაზახეთის მხრიდან მარცვლეულის ტერმინალის მშენებლობას საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, შეჩერდა აგვისტოს ომის გამო. ამან წარმოაჩინა ორმხრივ ურთიერთობათა მყიფიერება, რაც უმთავრესად გაჩნდა მოსკოვის პოლიტიკური სურვილების წყალობით. ამის შედეგად „ყაზმუნაიგაზმა“ უარი განაცხადა ააშენოს ნავთობის გამწმენდი ქარხანა ბათუმში, და ამასთან დაკავშირებით მიუთითა ტექნიკურ პრობლემებზე.

ცხადია, რომ ყაზახეთი, მართალია, უთმობს ზემოქმედებას კრემლის მხრიდან, მაგრამ ამავე დროს გრძნობს, თუ როგორ ეკონომიკურ შედეგებამდე მიიყვანს მას ეკონომიკურად ხელსაყრელი და პოლიტიკურად მნიშვნელოვანი პოზიცია საქართველოში. ეს ორმაგი თამაში ყაზახეთის პოზიციას ხდის განუჭვრეტელს და განუსაზღვრელს საქართველოსთვის. 2010 წლის მაისში ყაზახეთის სახელმწიფო მდივანმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა კანატ საუდაბაევმა მოაწყო მოლაპარაკება თავის ქართველ კოლეგასთან გრიგოლ ვაშაძესთან და დაარწმუნა იგი იმაში, რომ ასტანა დაიცავს თავის წინა შეთანხმებებს საინვესტიციო პროექტებთან დაკავშირებით, მათ შორის, შეთანხმებას მარცვლეულის ტერმინალის მშენებლობაზე. ანალიტიკოსი მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტიდან ლეონიდ გუსევი მიიჩნევს, რომ ყაზახეთს შეუძლია მიიღოს სარგებელი საქართველოსთან თანამშრომლობით პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპექტში, კერძოდ, თუ იგი გადაწყვეტს შეუერთდეს სარკინიგზო ხაზის „ბაქო-თბილისი-ყარსის“ გაფართოების პროექტს. პროექტი შეაერთებს ევროპასა და აზიას.

მაგრამ რუსეთის აღორძინებადი იმპერიული ამბიციები დსთ-ს ტერიტორიაზე, ალბათ, გახდება დაბრკოლება ყაზახეთის თანამშრომლობისთვის საქართველოსთან. ამისი აშკარა სიგნალი გახდა ევრაზიის ეკონომიკური გაერთიანების საინტეგრაციო კომიტეტის ამასწინანდელი სესია, რომელზეც განიხილებოდა საკითხი საბაჟო კავშირში უკრაინისა და ყირგიზეთის მიღების შესახებ. თითოეული ეს ქვეყანა საბაჟო კავშირში შესვლით მიზნად ისახავს საკუთარ ინტერესებს. ეკონომიკურად სუსტი ყირგიზეთი საბაჟო კავშირში ხედავს უკანასკნელ შანსს მაშინ, როდესაც უკრაინას იმედი აქვს, მიიღოს რუსეთის იაფი გაზი. მაგრამ ორივე ქვეყანა ეწევა რისკს გახდეს ინსტრუმენტი კრემლის ხელში, რომელიც ისწრაფვის საქართველოს რეგიონალური იზოლაციისკენ.

The JAMESTOWN FOUNDATION

## დედამიწის ზურგზე



**ამოცნობილია უდიდესი ასტრონომიული გამოცანა: დადასტურდა არსებობა საფუძვლისა, რომელიც სამყაროს სამ მეოთხედს შეადგენს**

მისი წყალობით კოსმოსი აგრძელებს გაფართოებას დიდი აფეთქების შემდეგ, თანაც სულ უფრო და უფრო სწრაფად. დედამიწაზე დიდი შავი ენერგია, განმარტავს ერთ-ერთი მეცნიერი, იმოქმედებდა ასე: წარმოიდგინეთ, რომ თქვენ მაღლა ააგდეთ ბურთი, იგი კი არ ვარდება, მაგრამ, პირიქით, კიდევ უფრო სწრაფად მიფრინავს ზევით.

**ისრაელის პრემიერმა ობამას წინადადებას საზღვრის შესახებ „კატასტროფა“ უწოდა**



ნეთანიაჰუს სიტყვებით, ამერიკის შეერთებული შტატების წინადადების ხორცშესხმა ისრაელის იმ საზღვრებთან დაბრუნების შესახებ, რომლებიც არსებობდა არაბეთ-ისრაელის ომამდე 1967 წელს, შეუძლებელია მისი თავდაცვის თვალსაზრისით. მან აგრეთვე შეახსენა, რომ არჩევნებამდე ობამა გვპირდებოდა, ისრაელს არ მოუწევდა დაპყრობილი ტერიტორიების დაბრუნებაო.

**აშშ-მა უარი განაცხადა, გადაიხადოს მრავალმილიონიანი ჯილდო უსამა ბინ ლადენისთვის**




მისი ლიკვიდაცია შესაძლებელი გახდა ელექტრონული დაზვერვის მონაცემების წყალობით და არა ინფორმაციით, რომელიც მიიღეს მაცნესგან, იტყობინებიან წყაროები თეთრ სახლში. ახლა აუცილებლად დაიშლება ამერიკული „კლდიანი მთების რემბო“, რომელიც ირწმუნებოდა, რომ მან გამოდევნა ბინ ლადენი მთებიდან, როდესაც მასზე ნადირობდა მახვილითა და პისტოლეტით.

**ნატოს გამანადგურებლებმა გაანადგურეს ლიბიის სამხედრო-საზღვაო ძალების 8 ხომალდი ერთი დღე-ღამის განმავლობაში**

ნატოს განცხადებაში აღნიშნულია, რომ ოპერაცია განხორციელდა „მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვისა და ალიანსის ძალების უშიშროების უზრუნველყოფისთვის ზღვაზე“. ამ დროს ლიბიის რეგულარული ჯარები აგრძელებენ მეამბოხეების პოზიციების მისამართით სროლას მისურატეში.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ უნივერსიადა 2011

# ორიენტირი — ჩინეთი



**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის რინგზე „უნივერსიადა 2011“-ის პროგრამით გათვალისწინებული მოკრივეთა ორთაბრძოლები გაიმართა.** პირველობაში 11 უმაღლესი სასწავლებლის 30-ზე მეტი ათლეტი მონაწილეობდა. დაძაბული პაექრობების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ადილ ასლანოვი (56 კგ, სტუძ, ალეკო ვახტანგიშვილი (60, გორის უნივერსიტეტიძ, ბაკურ გოგოჭური (64, თავართქილაძის უნივერსიტეტიძ, ელიზბარ ჯოლოგუა (69, „იბერია“ძ, რაჟდენ ანიაშვილი (75, გორის უნივერსიტეტიძ, ჯაბა ხოსიტაშვილი (81, ახალციხის უნივერსიტეტიძ და გიგა კუხალაშვილი (+91, თავართქილაძის უნივერსიტეტიძ.

გუნდურში 7 მედლით (2 ოქრო, 4 ვერცხლი, 1 ბრინჯაოძ პირველი ადგილი გორელებმა დაიკავეს, 2 ოქროთი და 1 ბრინჯაოთი მეორე ადგილზე თავართქილაძის უნივერსიტეტი გავიდა, თითო ოქრო-ვერცხლით მესამე ადგილი „იბერიას“ ერგო.

უნივერსიადის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა სახეობაში დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრებები, რომლებიც ჩინეთში მსოფლიოს უნივერსიადაზე გამოვლენ.

**ლაშა დიდია**

◉ კალათბურთი

# როცა ქულა ოქროდ ფასობს



**ნბა-ს დასავლეთ კონფერენციის ფინალში „დალასსა“ და „ოკლაჰომას“ შორის ანგარიში გათანაბრდა — 1:1. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ტეხასელებმა სერიის მეორე მატჩი შინ 100:106 წააგეს.**

გარდატეხა ბრძოლის ხასიათში პირველი ნახევრის ბოლო წამებზე დაიწყო, როცა დიურანტმა და ვესტბრუკმა პირველად დააწინაურეს სტუმრები — 59:57.

ოკლაჰომელთა წარმატების მთავარ საიდუმლოდ მასპინძელთა გერმანელი ლიდერის ნოვიცკის ნეიტრალიზებაც შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომელმაც ამჯერად პარტნიორებს „მხოლოდ“ 29 ქულა შეაშველა (შეგახსენებთ, რომ სასტარტო შეხვედრაში მან 48 ქულა მოაგროვაძ.

ალსანიშნავია, რომ ევროპელმა სნაიპერმა, რკინის ნერვებით რომ გამოირჩევა, კრიტიკულ ვითარებაში, როცა მის გუნდს ხსნის შანსი გაუჩნდა, საბედისწერო შეცდომა დაუშვა საჯარიმო ტყორცნის შესრულების დროს, არადა აქამდე პლეი-ოფებში ზედიზედ 39(!ძ საჯარიმო ჰქონდა ჩაგდებული.



* * *

**გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა სუპერლიგის პირველი ფინალური მატჩი „არმია“ — თსუ 75:71.**

**გიორგი შოთაძე**

◉ სინქრონული ცურვა

# დედის გზით



**რამდენიმე წელიწადია, სინქრონულ ცურვაში საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი ნინო ლომოური სალონიკიში ცხოვრობს და იქაურ კლუბში მწვრთნელად მუშაობს.** სპორტის ამ ლამაზი სახეობის საიდუმლოებას აზიარა მან თავისი ქალიშვილი — ქრისტინე ბოჭორიშვილიც, რომელიც ახლა 15 წლისაა და სხვადასხვა შეჯიბრებებშიც მონაწილეობს საქართველოს სახელით. ამას წინათ მან სოლოში ლუქსემბურგის თასი მოიპოვა 1993 წელს და უფრო გვიან დაბადებულ სპორტსმენთა შორის.

ქრისტინეს 29 ივნისიდან 3 ივლისამდე ბელგრადში დებიუტი ექნება ახალგაზრდების ევროპის პირველობაზე, სადაც 2-3 წლით უფროსებს შეეჯიბრება.

**გივი გაგუა**

◉ ფიფა

# გამოძიება დაიწყო

**ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის — ფიფას — სამი პასუხისმგებელი თანამშრომელი ჩავიდა მალაიზიაში, რათა გამოიძიონ მოლაპარაკებული მატჩები და არაკანონიერი ფსონები ტოტალიზატორებში.** ამ მუშა ჯგუფს ხელმძღვანელობს ფიფას უსაფრთხოების განყოფილების თავკაცი კრის იტონი. ის შეხვდება მალაიზიის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ტენგკუ აბდულა სულთან ახმად შახსა და პოლიციის მაღალჩინოსან ოფიცრებს. ამჟამად ფიფა ამოწმებს ინფორმაციას 300 მატჩის შესახებ სამ კონტინენტზე, რომელთა შედეგებზე ალბათ მოხდა ზეგავლენა.

ეჭვქვეშ არიან სულ ცოტა 6 ეროვნული ასოციაციის თანამშრომლები, რომლებსაც კონტაქტი ჰქონდათ დამნაშავეებთან, მალაიზიასა და სინგაპურში რომ მოქმედებდნენ.

ფიფას მონაცემებით, ისინი სასურველი ანგარიშებისთვის მსაჯებს უხდიდნენ სულ ცოტა 10 ათას დოლარს. იატაკქვეშა ტოტალიზატორების შემოსავალი კი ასეული მილიონი დოლარი იყო. ფიფას ეშინია, რომ შესაძლოა, ასეთივე დარტყმა მიადგეს ჭაბუკებისა და მოზარდების მსოფლიო ჩემპიონატებსაც.

◉ სუმო

# ჰაკუჰო - სრული სვლით



**ტოკიოს ბაშოზე მეთორმეტე დღეს მორიგი გამარჯვება მოუტანა დიდ ჩემპიონ ჰაკუჰოს, რომელიც ტურნირზე უდანაკარგოდ ლიდერობს — 12-0. ისეთი პირი უჩანს, რომ ბაშოს მეორე ნაპირზე იგი მშრალად გავა.**

ზედიზედ რამდენიმე გამარჯვების შემდეგ ქართველი სუმოისტის — ლევან გორგოძის (ტოჩინოშინიძ წინსვლა შეაფერხეს: ჩვენებურმა კომუსუბი კაკურიუსთან წააგო. იგი 10 მოგებითა და 3 მარცხით მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფს ესტონელ ბარუტოსთან და ბრაზილიელ დებიუტანტ კაისეისთან ერთად.

ტურნირზე მე-5 გამარჯვება იზეიმა გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელიძ, რომელსაც დადებითი ბალანსის მისაღწევად ასპარეზობის ბოლომდე დარჩენილი სამივე შეხვედრის მოგება მართებს. ძურიოს დივიზიონში მე-4 წარმატებას მიაღწია ლევან ცაგურიამ (კოკაიძ, თუმცა მან უკვე „დაიბევა“ უარყოფითი ბალანსი (4-8ძ და მომავალი ბაშოსთვის რანგით დაქვეითება ელის.

**ლექსო ცინცაძე**

◉ ოლიმპიზმი

# დედამიწას არ შემოუვლის

**როგორც ლონდონიდან იუწყებიან, ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტა სტარტს აიღებს 2012 წლის 19 მაისს ინგლისის სამხრეთ-დასავლეთიდან — ლენდს-ენდის კონცხიდან. წინა ესტაფეტებიდან განსხვავებით ოლიმპიური ცეცხლი დედამიწას არ შემოუვლის, დაკმაყოფილდება მხოლოდ დიდი ბრიტანეთის ტერიტორიით.** 70 დღეში ჩირაღდანი გაივლის 12 800 კილომეტრზე მეტს, ვიდრე 27 ივლისს ლონდონის ოლიმპიურ სტადიონზე ოლიმპიადის საზეიმო გახსნაზე აღმოჩნდება. უკვე განსაზღვრულია ოლიმპიური ცეცხლის მარშრუტის 74 წერტილი. მარშრუტი გაივლის ბრიტანეთში შემავალ ყველა ქვეყანას და ოლქს, 6 კუნძულის ჩათვლით. მათ შორის იქნება ქალაქები ბრისტოლი, კარდიფი, ლივერპული, ბელფასტი, გლაზგო, ნიუკასლი, მანჩესტერი და ბევრი სხვა. როგორც ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტში აცხადებენ, დანარჩენი წერტილები უახლოეს ხანში დაზუსტდება. მაგალითად, ჩაერთვება თუ არა მასში დუბლინი. უკვე დაიწყო იმ 8 ათასი მეჩირაღდნის შერჩევა, ვისაც მოუწევს ესტაფეტაში მონაწილეობა.

◉ ინტერნეტიდან

## პირველი პარტია — ყაიმით

**ყაზანში გაიმართა ჭადრაკში მსოფლიო გვირგვინისთვის ფინალური მატჩის პირველი პარტია. რუსეთელი ალექსანდრე გრიშჩუკი „თეთრებით“ ეთამაშებოდა ბორის გელფანდს ისრაელიდან.**

მე-15 და მე-18 სვლების მონაკვეთში, მეტოქეებმა უკვე რომ მოასწრეს ლაზიერებისა და რამდენიმე მსუბუქი ფიგურის გაცვლა, პარტია ენდშპილში გადავიდა, საბოლოოდ კი 49-ე სვლაზე ისინი ყაიმზე შეთანხმდნენ. წინ კიდევ ხუთი პარტიაა, ანგარიში კი — 0,5-0,5.

## კინაღამ ცათამბჯენიდან გადმოვარდა



**სახელგანთქმულმა „ადამიანმა-ობობამ“ ალენ რობერმა თითქმის ორ საათში დაიპყრო ევროპის უმაღლესი შენობა — 261-მეტრიანი ცათამბჯენი „საპფორი“ სტამბოლში. ჩვეულებრივად ფრანგი ასეთ ცათამბჯენზე ადის დამცავი მოწყობილობების გარეშე. მაგრამ მიმღებმა მხარემ აიძულა იგი, გამოყენებინა დამცავი საშუალებები.** სტამბოლის „მწვერვალის“ დაპყრობას უხიფათოდ არ ჩაუვლია. ბოლო 15 მეტრის გავლისას ის კინაღამ გადმოვარდა. „საპფირის“ დაქანებულ სახურავზე რყევისას სპორტსმენის ფეხსაცმლის ძირებზე სპეციალურმა წებომ აღარ დაიჭირა. შემდეგ რობერმა თქვა, რომ ეს მისი შეცდომა იყო. თუმცა ამან საბოლოო შედეგზე ვერ იმოქმედა.

## ადელინა ფეხბურთს დაუბრუნდა

**რუმინელი მოდელი ადელინა პესტრიცუ, როგორც ამბობენ, შარშანდელს აქეთ პოპულარული გახდა „შტუტგარტის“ ფორვარდ ჩიპრიან მარიკასთან რომანის წყალობით, თუმცა ის ერთხანს განუდგა ფეხბურთის საქმეებს, ხომ ნათქვამია, თუკი ერთხელ შეიყვარებ ფეხბურთს, მას თავს ველარ დაანებებო. მით უმეტეს, რომ სამშობლოში მას ადგილობრივ „ვიქტორია ბექჰემს“ ეძახიან, მაგრამ ისეთი ცნობილი ფეხბურთელი, როგორიც დევიდ ბექჰემია, მას გვერდით როდი ჰყავს. ეს ალბათ დროებითაა ასე!?**

ადელინა სახელგანთქმულ ადამიანებთან ერთად, მონაწილეობდა მთელ მსოფლიოში „შავი ჭირივით“ გავრცელებულ შოუში, მაგრამ ის ყინულზე არ გამოსულა. თუმცა ცეკვა მაინც მოუწია. მისი პარტნიორი კი იყო წარსულში ცნობილი რუმინელი ფეხბურთელის იულიან მიუს ძმა რობერტი. ამბობენ, რომ ურიგო წყვილი არ გამოვიდა.

რობერტს შვილი ჰყავს პირველი ქორწინებიდან. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ადელინასთან დაახლოებაში. ახლა უკვე არავისთვის საიდუმლო არაა მიუსა და პესტრიცუს ურთიერთობა. თუმცა მიაჩნიათ, რომ რუმინელი ლამაზმანი მეტის ღირსია. რუმინეთში ხომ არიან ისეთი ცნობილი სპორტსმენები, როგორიცაა ადრიან მუტუ, კრისტიან კივუ, და თუნდაც თავად მარიკა.



**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

გამოფენა

# გინახავთ რეზო ადამიას „დაისი?“



**„დაისი,“ — ასე ერქვა რეზო (ემელიანეძ ადამიას ფერწერული სურათების პერსონალურ გამოფენას, რომელიც ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში გაიხსნა და ზაქარია ფალიაშვილის დაბადებიდან 140 და მუზეუმის დაარსებიდან 50 წლისთავს მიეძღვნა.**

„ფალიაშვილის თემას ორი წელია ვუტრიალებ. ერთი წლის ინტენსიური მუშაობის შედეგად შექმნილი ყველა ნამუშევარი კი აქ წარმოვადგინე. ფალიაშვილისა და ჩემი „დაისის“ გაერთიანება მინდოდა“, — აღნიშნა დავით ალმაშენებლის სახელობისა და გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიების ლაურეატმა შემოქმედმა.

მზის ჩასვლა და მისი უსასრულო მისტიკა რეზო ადამიას შემოქმედების მთავარი თემაა, რომელიც სიმბოლურად ფალიაშვილის უკვდავ ოპერას დაუკავშირა. რეზო ადამიას დახატული მზე იდუმალებას მიგვაახლებს. კი არ გწვავს, პირიქით — სამყაროს აკეთილშობილებს, სულის მარადიულობას შეგვაგრძნობინებს...ოპერა „დაისიც“ ამ მზის ელვარებაში იბადება და დიდი კომპოზიტორის გლოვის დღეებსაც ეს მზე დასდგომია ნათლის სვეტად...სურათი გამოხატავს მამის ტანჯვას, შვილის დაკარგვით გამოწვეულ დიდ დარდს — როიალთან ნატურმორტი წაქცეულია, და მაინც ჯვარი ისახება — იმედად და მხსნელად...

გამოფენაზე რეზო ადამიას „დაისის“ მოსანახულებლად უამრავი ადამიანი მოსულიყო, ეს იყო მხატვრების, მწერლებისა და კომპოზიტორების ნამდვილი ზეიმი, იმათი, ვინც, ჯანსულ ჩარკვიანის თქმით, იცის ფასი ჭეშმარიტი მხატვრობისა. „ღმერთი შემოქმედია. მან ეს სახელი მიწიერს უბოძა, და ამ სახელს რეზო ადამია ამართლებს“...

„ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორმა შალვა დავითაშვილმა გამოფენის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება, ხოლო გია ბუღაძემ მხატვრის დაუღალავ ენერგიას გაუსვა ხაზი — ეს ადამიანი საოცრებებს აკეთებსო... „არ ჩერდება, სანამ არ ჩერდება, მუდამ ახალგაზრდაა. ახალგაზრდობა კი მარადისობაა.“

თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა ქაცარავამ აღნიშნა, რომ რეზო ადამიას საინტერესო მხატვრობა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა წარმატებით მოიარა, მას ეხმაურებიან, მასზე წერენ, და ეს ყველაზე დიდი ჯილდოაო.

ნოდარ ტაბიძემ აღნიშნა, რომ რეზო ადამია იმავდროულად არის შესანიშნავი მწერალიც. მან გამოსცა ტერენტი გრანელზე წიგნი „უკვდავება სიკვდილში,“ მალე დღის სინათლეს იხილავს მისი ესეების კრებულიც „შედევრები და მარადიულობა.“ წიგნში გაერთიანებულია 32 ესე მსოფლიოს გამოჩენილ მხატვრებზე. წიგნის რედაქტორია პროფესორი ნოდარ ტაბიძე.

რეზო ადამიას პოეტურ და ნაიფ ფერწერულ ნამუშევრებზე აზრი გამოთქვეს: ამირან შალიკაშვილმა, ჯუმბერ ლომინაძემ, ბადრი ქუთათელაძემ, ტარიელ ჭანტურიამ, თემურ შაშიაშვილმა, ოთარ მელვინეთუხუცესმა, იკა ქადაგიძემ...

მიმოზა ცანავამ და ეთერ ზარიძემ კი მხატვარს ლექსები მიუძღვნეს.

გამოფენა მუზეუმში 15 დღეს გასტანს.

**თამარ შაიშმელაშვილი**

# „მან თვითონ აიმგზავრა წუთისოფელი“

**საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში ცნობილი ქართველი მწერლის, სცენარისტისა და კინორეჟისორის გოდერძი ჩოხელის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა.**



საღამოზე წარმოდგენილი იყო ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდში დაცული მწერლის წიგნები, მის შესახებ დაწერილი პუბლიკაციები, ასევე კადრები ფილმებიდან და სამუშაო პროცესში გადაღებული ფოტოები, რომელთაც დღის სინათლე პირველად იხილეს. საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა, გაცნობოდნენ მასალებს მწერლის პირადი არქივიდან.

საღამო ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლის ნინო წიკლაურის ორგანიზებით გაიმართა.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დეპარტამენტის დირექტორმა ემზარ ჯგერენაიამ გოდერძი ჩოხელის ცხოვრებასა და შემოქმედებას ერთიანი, დიდი ადამიანი უწოდა, რომელმაც შეძლო ცოცხალი სიტყვა კინოში ეთქვა და კინო გაესიტყვებინა...

სიტყვით გამოვიდნენ ლიტერატორები: ზაზა აბზიანიძე, მაია წიკლაური, პოეტ ტარიელ ხარხელაური, რომლებმაც მწერლის შემოქმედებას გენიალური უბრალოებისა და ღირსების გამომხატველი ფილოსოფიური დღიურები უწოდეს.

გამოფენის გახსნის შემდეგ გოდერძი ჩოხელის ფილმი „ადამიანთა სევდა“ უჩვენეს.

ფილმის დასრულების შემდეგ ოთარ პერტახიამ და ნანა ჯანელიძემ ფილმი განიხილეს. მათი აზრით, გოდერძი ჩოხელის ფილმები ორიგინალურია, სახალხო სიბრძნითაა გაჯერებული. პრობლემა — ზოგადსაკაცობრიოა, რომელიც აერთიანებს სამყაროს და ადამიანს: **„იმდენად თავისთავადი და ფაქიზი სამყაროა, ყველას ჩვენი ბილიკი გვაქვს მასთან მისასვლელი. გოდერძი ჩოხელის შემოქმედებას საზღვრები არ აქვს, — მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ფილმი ზოგადსაკაცობრიოა. დღემდე ვერ მოენახა სტატუსი მის კინოშედევრებს, რადგან დიდია ფილოსოფიური წიაღსვლები. ასეთი სიმსუბუქით ცხოვრებაზე დააფიქრო, აცინო, თან ატირო ადამიანი, მხოლოდ გოდერძი ჩოხელს შეუძლია. მისი ფილმი მარტო სიუჟეტი როდია. საამაყოა ასეთი დონის რეჟისორის ყოლა“,** — ნანა ჯანელიძის ამ განცხადებას აუდიტორიიდან გულმხურვალე მოქახილი მოჰყვა: „გოდერძის შემოქმედება იმედითა და რწმენით გვავსებს. ვაჟა-ფშაველას მსგავსად, ქართულ ბუნებაზე და ხასიათზე მოქმედებს. იგი არ იყო წუთისოფლის მგზავრი, მან თვითონ აიმგზავრა წუთისოფელი“.

**„გამორჩეული ფენომენი, სიბრძნის ამოუწურავი სკივრია, მისი ფილმები ადამიანური თავისუფლების გამომხატველია, მედიტაცია და მუდმივი აღმოჩენაა“,** — დასძინა ოთარ პერტახიამ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კი გოდერძი ჩოხელის ფილმებს „ნამდვილი ცხოვრება“ უწოდა.

**გოდერძი ჩოხელის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 22 მაისამდე გასტანს.**

**გულნაზ გახარია**

გახსენება

# ნემო სოზიაშვილი



მაშინ, როცა ქართულ სოფელზე მართლაც ზრუნავდნენ, თავისი საქმის მრავალი პროფესიონალი ცდილობდა, საკუთარ სინდისთან პირნათელი ყოფილიყო.

ერთ-ერთი მათგანი ნემო სოზიაშვილი გახლდათ, რომელიც 40 დღის წინათ მიიბარა მშობლიური ლისის მიწამ.

ღონიერი ორგანიზაციის — „სოფლმშენის“ კომპლექტაციის სამმართველოში მისმა უფროსმა ზაურ გურგენიძემ ისეთი ბირთვი ჩამოაყალიბა, კოლეგები ჭკუას რომ ეკითხებოდნენ. არმაზ ნარჩემაშვილი, ბაკურ ხარშილაძე, კიაზო ტავლალაშვილი და ძმანი მათნი სისტემაში გამორჩეულები იყვნენ, ამიტომ ასეთ კამპანიაში ავტორიტეტის მოპოვებას ყველა როდი ახერხებდა.

ბატონმა ნემომ ეს შეძლო და სავსებით დამსახურებული იყო ის ცრემლი, უხვად რომ ეპკურა მის ცხედარს.

მრავალშვილიან ოჯახში გაზრდილ ვაჟკაცს გაჭირვებულთა უანგარო დახმარების განსაკუთრებული ნიჭიც დააბერტყა უფალმა. არ არსებობდა ჭირი თუ ლხინი სოფელში, სანათესაოში, სამეგობროსა და სამსახურში, „მიხაილოვიჩს“ ღირსეული წვლილი რომ არ შეეტანოს მის ღირსეულად დაგვირგვინებაში.

ალბათ, ამიტომაცაა ძნელი იმ აზრთან შეგუება, რომ ამიერიდან ამ ქვირფას პიროვნებაზე წარსულ დროში მოგვიწევს საუბარი.

ნათელი დაადგეს იმ ქვეყანაშიც!

**გია პლატონიშვილი**

# ლერი წაქაძე



ახლოვდება ორმოცი დღე, როცა მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლებთ. ძნელია შეგუება, რომ ჩვენს შორის აღარ ბრძანდებით — უღალატო, მაღალი პროფესიონალი. თქვენი კოლეგები ძალიან განვიცდით, რომ ჩვენს შორის არ ტრიალებთ, დინჯი მოსაუბრე, კომუნიკაბელური, ცხოვრებაში ჩახედული, ჩვენს ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული და მისი პრობლემებით შეწუხებული. ბოლო დღემდე იდექით მეცნიერების სამსახურში, რომელსაც მთელი თქვენი შეგნებული ცხოვრება მიუძღვენით, აკი დაგიფასდათ კიდეც. გახდით სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მოგენიჭათ დამსახურებული მეცნიერისა და გამომგონებლის საპატიო წოდებები.

თქვენი ამ ქვეყნიდან წასვლით უზომოდ დაამწუხრეთ ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი, მეგობარი და თანამოაზრე ქ-ნი ეთერი, უცხოეთში წამყვან სამეცნიერო ცენტრებში მოღვაწე თქვენი საამაყო შვილები ზვიადი და ირაკლი, მათთან ერთად თქვენი კაცურკაცობისა და ნიჭის დამფასებელი კოლეგები და ახლობლები.

ღმერთმა სასუფეველში დაამკვიდროს თქვენი სპეტაკი სული.

**სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის კოლექტივი**

---

საზოგადოება „რუსთაველების“ სახელით, მისი საპატიო თავმჯდომარე ანზორ შონია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი, დიდებული პიროვნება, რუსთავის საპატიო მოქალაქე, ქართული მრეწველობის ერთ-ერთი ცნობილი ხელმძღვანელი

**ზურაბ კერვალიშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

---

## განცხადება

**2011 წლის 10 ივნისს, 14.00 საათზე, ქ. თბილისის №1 საჯარო სკოლის დარბაზში (რუსთაველის გამზირი № 10ძ ტარდება თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის წარმომადგენელთა კრება დღის წესრიგით:** 1. კოოპერატივის 2010 წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შესახებ; 2. შპს-ს დირექტორების უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ; 3. განცხადებები.

**კოოპერატივის გამგეობა**

## განცხადება

**სს ელექტრონიკა-94 ა/წ 21 ივნისს 16 საათზე კ. გამსახურდიას № 14-ში ატარებს აქციონერთა საერთო კრებას.**

**დღის წესრიგი:**

1. 2009 წლის 31 დეკემბრიდან 2010 წლის 31 დეკემბრამდე სამეურნეო ანგარიში.

მომხს. მთ. ბუღალტერი გ. ჩიქოვანი.

2. მიმდინარე ზოგიერთი სამეურნეო და ადმინისტრაციული საკითხების განხილვა.

მომხს. ვ. ციხელაშვილი.

## განცხადება

**2011 წლის 31 მაისს, დღის 11 საათზე განმეორებით დანიშნულია სააქციო საზოგადოება „ყვარლის“ აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. 2010 წლის წლიური ბალანსის განხილვა;
2. სხვადასხვა საკითხი.

**მისამართი: ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის, 72.**

**სს „ყვარლის“ ადმინისტრაცია**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სულიერება

# სვიმონ კანანელი

**23 მაისს საქართველოს წმინდა სამოციქულო ეკლესია იხსენიებს სვიმონ კანანელს.**

სვიმონ კანანელი იმ ათორმეტ მოციქულთაგანია, რომელიც უფლის თვითმხილველი, მის გვერდით მდგომი, მისი სარწმუნო მოწაფე, მქადაგებელი და მისივე სიყვარულისა და ერთგულების ბოლომდე დამმარხველია.

...სვიმონ კანანელი მრავალ ქვეყანაში ქა-



დაგებს ქრისტეს მოძღვრებას, მათ შორის, ყოვლადწმინდის წარდგინებით, ანდრია პირველწოდებულთან ერთად, იბერიაშიც...

წმინდა მოციქულის მიერ კურთხეული აფხაზეთი დღეს ყოველი ქართველის ღია ჭრილობაა, შევთხოვოთ მის სახიერებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მისი სულიერი ამაღლება!

**გიული ლიპარტია**

წარდგინება

# „სამოსელი პირველი“ მეშვიდედ გამოიცა



**„თიბისი“ გალერეაში გურამ დოჩანაშვილის რომანის „სამოსელი პირველის“ ახალი გამოცემის წარდგინება გაიმართა. აღსანიშნავია, რომ ეს გამოცემა, რიგით მეშვიდეა და „მერიდიანმა“ დასტამბა.**

„თიბისი“ გალერეაში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, მათი უმრავლესობა ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელი იყო. აქ იმყოფებოდნენ უცხოელი ჟურნალისტებიც. დამსწრე საზოგადოება ბატონი გურამ დოჩანაშვილის გამოჩენას ოვაციით შეხვდა. საღამოზე რომანის ნაწყვეტები წაიკითხეს და განიხილეს. ბატონმა გურამმა რომანის დაწერის ისტორია გაიხსენა:

**„1961 წელს „უძღები შვილის“ იგავი წავიკითხე, რამაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სწორედ ამ იგავმა გადამაწყვეტინა „სამოსელი პირველის“ დაწერა, რომელსაც 12 წელი მოვუნდი. რომანი გამოსვლისთანავე კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. იმასაც კი მაბრალებდნენ, რომ მარკესს ვბაძავდი, ამის მიუხედავად, რომანმა დღემდე მოაღწია, რის გამოც ძალიან ბედნიერი ვარ“,** – აღნიშნა მწერალმა.

გურამ დოჩანაშვილს წიგნის გამოსვლა გამომცემლობა „მერიდიანის“ წარმომადგენელმა მიულოცა. მან აღნიშნა, რომ წიგნი დიდი პოპულარობით სარგებლობს და ხალხის თხოვნით გამოიცა. სტუმრებმა იქვე შეიძინეს წიგნები და ბატონმა გურამმა ისინი ავტოგრაფით დაამშვენა.

**სოფიო ციგრიაშვილი**

მკითხველის ლექსი

# შენ ღვთაებრივი ძალის მქონე ძალა იქნები

## ზვიად გამსახურდიას ხსოვნას

სამშობლოს ბედი, უფლის ნებით, მხრებზე იტვირთე,
ცა რიჟრაჟდება, თეთრი რაში გაიჯირითებს,
ღვთისმშობლის წილხვედრს შეაწიე სინათლის ჩქერი,
ეს ზეციური განგებაა, სხვა არაფერი.
დღეს დღეა, როცა საქართველო უნდა გადარჩეს.
ტანჯული ერი ელოდება ბედის განაჩენს,
თუ ვინმეს ძალუძს სასწაული ვულკნის გუგუნით,
ეს შენ ხარ ერთი, გაანათო ბნელი უკუნი.
სიმართლის ძალა მშობელ ხალხის მტრისკენ დასძარი,
რომ საქართველოს არ მოედოს ცეცხლის ხანძარი,
რომ სამუდამოდ იზეიმოს ქვეყნად შეგნებამ,
სადაც სიცოცხლეს უფრო მეტი აზრი ექნება.
საქართველოა შენი სატრფო, შენი ნესტანი,
ხარ სალოცავი ქრისტეს მცნების მრევლში შემტანი.
შენ შენს კაცობის ტაძრებს აგებ ერის ბურჯებად,
რომლებიც ყველა დროის გრიგალს გადაურჩება,
შესარაცხი ხარ საქართველოს წმინდნად ღირსებით,
შენ ღვთაებრივი ძალის მქონე ძალა იქნები.

**გიორგი ყარაულაშვილი**
ქ. თელავი.

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

დაიჯესტი

### წამალს ჩაის ნუ მიაყოლებთ!



**ჩაი უამრავი ადამიანის ერთ-ერთი უსაყვარლესი სასმელია, რომელიც, ყველა სიკეთესთან ერთად, ჯანმრთელობისთვის მეტად მარგებელია.** თურმე, მწვანე და შავ ჩაის ერთი ნედლეულისგან იღებენ, ოღონდ შავ ჩაის ფერმენტაციას უტარებენ (ჟანგავენ), მწვანეს კი ორთქლავენ ან ხალავენ; მაგარი ჩაი ასტიმულირებს ღვიძლისა და ელენთის მუშაობას, ხელს უწყობს სისხლში ჰემოგლობინის შემცველობის აწევას; მწვანე ჩაი ორგანიზმში მიმოცვლის პროცესებს აჩქარებს და ხელს უწყობს ცხიმგროვების დაშლას; ჩაი დაბლა სწევს სისხლში ქოლესტერინის შემცველობას და ამუხრუჭებს არტერიების კედლებზე დანალექის წარმოშობას; ჩინური სიბრძნით, ჩაი შლის წამლებს, ამიტომ მისი აბებზე მიყოლება არაფრით არ შეიძლება; წელიწადში ყველაზე მეტ ჩაის მსოფლიოში ინგლისში, ირლანდიასა და ახალ ზელანდიაში სვამენ – ერთ სულ მოსახლეზე 4 კილოგრამს.

### უფროსის სიახლოვეს მზეც უფრო ათბობს?..



**აღმოჩნდა, რომ სამუშაო მაგიდის ადგილს ბევრი რამის თქმა შეუძლია კაცის კარიერულ შესაძლებლობებზე. თუკი თქვენი მაგიდა უფროსის კაბინეტთან ახლოს დგას, მაშინ დიდი პოტენციალი გქონიათ.** თუ ფანჯარასთან ზიხართ, მაშასადამე შემოქმედებითი ნატურა ხართ. თუ თქვენი მაგიდის წინ კედელია, მაშინ უნდა დაფიქრდეთ – ტყუილუბრალოდ ხომ არ გსჯიან. კუთხეში კი უფრო ხშირად ის ხალხი ჯდება, ვინც წვრილმანებზე არ ხურდავდება და მუდამ მაღალი მიზნების რეალიზაციაზეა ორიენტირებული.

### მსუქანი მწეველები ნუ მოგვმართავენ!



**ხელმძღვანელ მუშაკთა შორის ჩატარებული ერთ-ერთი სოციოლოგიური გამოკვლევის მიზანი იმის გარკვევა იყო, თუ რა თვისებები უშლის ხელს კაცს ამა თუ იმ ვაკანსიის დაკავებაში.** აღმოჩნდა, რომ პროფესიის მიუხედავად, ამერიკელი დამსაქმებლები უარს ეუბნებიან ჭარბი წონისა და თამბაქოს მწეველ სამუშაოს მაძიებლებს. რაც შეეხება ქართველ დამსაქმებლებს, მათთვის მეტად მნიშვნელოვანია პოტენციური თანამშრომლების სქესი, ასაკი, გარეგნობა, ლოიალობა და ოჯახური მდგომარეობა.

### ეს სახიფათო გრეიფრუტი



**გაციებული კაცი, ხშირად, დიდი ოდენობით ციტრუსებს ეტანება, მათ შორის, ცხადია, გრეიფრუტსაც, რადგან ერთი ნაყოფი იმდენ ვიტამინ C-ს შეიცავს, რაც მას მთელი დღე-ღამის განმავლობაში სჭირდება.** არადა, აღმოჩნდა, რომ გრეიფრუტს, ყველა სიკეთესთან ერთად, დიდი ნაკლიც ჰქონია – თურმე იგი აორმაგებს წამლების მოქმედებას და მათ ჭარბ დოზირებას იწვევს. პირველ ყოვლისა, ეს გულის პრეპარატებს, ანტიდეპრესანტებსა და ანტიბიოტიკებს ეხება. ამიტომ, თუკი რომელიმე ამ ჯგუფის პრეპარატს სვამთ, გირჩევთ, გრეიფრუტის ჭამისგან თავი შეიკავოთ.

### „წითელი პეპლების“ რისხვა

**მე-20 საუკუნის შუა ხანებში ბრიტანეთის კამერუნის ერთ-ერთ ტომის ბელადს 110 ცოლი ჰყავდა, რომელთაგან 44 თავის წინამორბედისგან მემკვიდრეობით დარჩა.**



ამავე პერიოდში ისრაელში მიიღეს პოლიგამიის ამკრძალავი კანონი, მაგრამ ქვეყნის ზრდასრული მოსახლეობის ხუთი პროცენტი მას არ სცნობდა. აღსანიშნავია, რომ ებრაელთა ორი ჯგუფი – იემენიტები და სეფარდები ძველ ადათს დღემდე იცავენ.

1959 წელს კი სინგაპურში, სადაც იმ დროისთვის მსოფლიოში პოლიგამიის ყველაზე მაღალი დონე აღინიშნებოდა, ქალთა ტერორისტული (?!) ჯგუფი „წითელი პეპელა“ შეიქმნა, რომელიც მრავალცოლიან მამაკაცებს თავს ესხმოდა.

ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● ქალაქ ბირობიჯანის მცხოვრებთა აზრით, ადგილობრივი ებრაელები ორ კატეგორიად იყოფიან: ერთნი ისრაელში აპირებენ წასვლას და ამიტომ სწავლობენ ივრითს, ხოლო სხვებმა დარჩენა გადაწყვიტეს და სწავლობენ ჩინურს, რადგან ებრაელთა ავტონომიური ოლქი ჩინეთის საზღვართან მდებარეობს და რუსეთთან ყოფნას მათ ჩინეთის შემადგენლობაში შესვლა ურჩევნიათ.

● ახალ წელს 189 ქვეყანაში აღნიშნავენ. ბევრი ქვეყანა სხვადასხვა დროს აღნიშნავს დამოუკიდებლობის, რესპუბლიკის მშობელთა დღეებს და ა.შ. არის კიდევ უქმე დღე, რომელსაც 37 ქვეყანაში აღნიშნავენ და ეს არის სახელმწიფოს მეთაურის დაბადების დღე.

● ამერიკელ ახალმოსახლეებს მრავალი აკრძალვა ჰქონდათ დაწესებული, რაც გამართლებულიც იყო. მაგალითად, მოწევის აკრძალვა ფერმერებს სტიმულს აძლევდა უფრო სასარგებლო სამეურნეო პროდუქტები მოეყვანათ, ვიდრე თამბაქო იყო. კვირადღეს კერძების მომზადების აკრძალვა თავიდან აცილებდა ხანძარს (ეკლესიაში წასულებს უმეთვალყურეოდ რომ არ დაეტოვებინათ ცეცხლი), მოზარდთა სანადიროდ წასვლა კი იკრძალებოდა იმისათვის, რომ ინდელებს მათთვის იარაღი არ წაერთმიათ.

მოგვაწოდა
**ტიტე კოპალეიშვილმა**

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით.
868 838 858

ანეკდოტები

საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორი გაუპატიურება-ძალადობაშია ეჭვმიტანილი. სარჩელები შეიტანეს ამერიკელმა ქალმა, ფრანგმა ქალბატონმა და 11 ქვეყნის მთავრობამ.

* * *

ასაკთან ერთად კატეგორიული ფრაზა – „არ გაბედო ვინმეს მოყვანა!“, იცვლება საწყალობელ-მთხოვნელ წინადადებად – „შვილო, როდის მოიყვან ვინმეს, ისე მინდა შვილიშვილები“...

* * *

ბავშვობა – ეს ის დროა, როდესაც უფროსები აიძულებენ პატარებს, ანგარიში ჩააბარონ თემაზე – „როგორ გავატარე ზაფხული“. მოხუცებულობა კი ის დროა, როდესაც ბავშვები აიძულებენ მათ, ანგარიში ჩააბარონ თემაზე – „როგორ განვვლე ცხოვრება“...



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24